ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 13 აპრილი, 2020 №85 (8349) ფასი: 60 თეთრი

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კამპანია აქვს გაჩაღებული“

გვ.3

თბილისის მერიამ ბავშვებს გაფუჭებული პროდუქტები დაურიგა

„ივანიშვილი არჩევნების გადადებას ცდილობს“

გვ.3

მურმან დუმბაძე: ხელისუფლებამ დადებული პირობა არ უნდა დაარღვიოს, არ უნდა თქვას, პანდემიას ვებრძოდი და საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ვერ მოვიცალე ან პატიმრების გამოშვება დამავიწყდაო

თინა ბოკუჩავა: „ოქრუაშვილის საქმე ტესტი იქნება“

„მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ივანიშვილის შემოწირული 100 მილიონის მობილიზება ოფშორების მიერ მოხდა“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ რეიტინგი აქვს, მაგრამ ავტორიტეტი — არა“

გვ.2

„როგორც კი პოლიტიკური ციკლი გაიხსნება, სერიოზულ ესკალაციას უნდა ველოდოთ“

პეტრე მამრაძე: „საქართველოში ოპოზიცია არ არის“

გვ.4

გვ.4

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი საქართველოს ხელისუფლებას რესპუბლიკაში კორონავირუსის შეღწევის ხელშეწყობაში ადანაშაულებს

გვ.5

საქართველოს სანაპირო დაცვისა და ნატოს ხომალდების ერთობლივი წვრთნები ჩატარდა

გვ.5

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 178 ფაქტი გამოავლინა

ISSN 1987-9385

2 გიორგი ბაბუაძე: „კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა მზად არის“

6 მოსკოვში ეკლესიაში ყოფნისთვის მრევლი დააჯარიმეს

5 „გირჩი“: „თუ 4 კაცის 1 სახლში ყოფნა შეიძლება, მანქანაში მათი ერთად ჩაჯდომა რატომ არ შეიძლება?!“

6 აშშ-ის ყველა შტატი უბედურების ზონად გამოცხადდა

თინა ბოკუჩავა: „ოქრუაშვილის საქმე ტესტი იქნება“

„მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ივანიშვილის შემოწირული 100 მილიონის მობილიზება ოფშორების მიერ მოხდა“

იაგო ნაცვლიშვილი

დღეს სასამართლოში ირაკლი ოქრუაშვილის პროცესია ჩანიშნული. სავარაუდოდ, სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს — პოლიტიკოსს პატიმრობაში დატოვებს თუ გაათავისუფლებს. ეს მაშინ, როდესაც „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის მიღწეული იყო შეთანხმება პოლიტპატიმრების თემაზე. აქედან გამომდინარე, იყო მოლოდინი, რომ პოლიტპატიმრებს გაათავისუფლებდნენ. კორონავირუსის შედეგად შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს პროცესი შეჩერდა. რა მოლოდინი აქვს ოქრუაშვილის პროცესისგან და არის თუ არა ეს საკითხი ის, რომელსაც ოპოზიცია დღის წესრიგიდან არავითარ შემთხვევაში არ მოხსნის? — ამ და სხვა საინტერესო თემების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი თინათინ ბოკუჩავა საუბრობს.



– გქონდათ შეთანხმება, რომ „ქართულ ოცნებას“ პოლიტპატიმრები უნდა გაეთავისუფლებინა. ახლა, როცა ეს პროცესი შეჩერებულია, ხომ არ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ მისი გაჭიანურება ხელოვნურად ხდება?

– ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ხელისუფლება კორონავირუსს გამოიყენებს იმისთვის, რომ ეს პროცესი გაწელოს და საკუთარი თავის ნიველირება მოახდინოს, რომელიც მათ აღებული აქვთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების წინაშე, ოპოზიციური პარტიებისა და ყველა იმ ადამიანის წინაშე, რომლებიც გარკვეული იმედით უყურებდნენ იმ შეთანხმებას, რომელიც მიღწეული იყო ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევის შედეგად, განსაკუთრებით კი აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან.

ეს ეხება როგორც საკონსტიტუციო ცვლილებებს, ასევე იმ საკითხებს, რომლებზეც თქვენ მისვამთ შეკითხვას – პოლიტპატიმრებისა და პოლიტიკური დევნის თემას. ბუნებრივია, ეს ორივე საკითხი იყო შეთანხმების თემა და სამწუხარო იქნება, თუ ხელისფლება ეცდება, ამ ვალდებულებების შესრულებისგან თავი დაიძვრინოს და არსებული ვითარება ამისთვის გამოიყენოს.

– თუმცა, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ალბათ, გაქვთ გარკვეული მოლოდინი, რომ ამ ნაბიჯზეც შეიძლება წავიდეს. თუ ხართ ამ მხრივ ფხიზლად არსებულ ვითარებაშიც კი?

– ბუნებრივია. ყველას კარგად გვახსოვს, როგორ დააანონსა ბიძინა ივანიშვილმა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და შემდეგ მისი ორკესტრირებით ვიხილეთ ის ფარსი და სპექტაკლი ვითომ ამბოხებული დეპუტატების მხრიდან იმისთვის, რომ ჩაგდებულიყო აღნიშნული კანონპროექტი. ამიტომ, რა თქმა უნდა, გვაქვს ძალიან მწარე გამოცდილება, თუმცა, კიდევ ვცდილობთ, ვიყოთ კონსტრუქციულები და გვქონდეს გარკვეული იმედი, რომ ეს შეთანხმება შესრულდება იმ ვალდებულებების მიხედვით, რომლებიც აქვს „ქართულ ოცნებას“.

– საერთაშორისო აქტორებთან ამ ეტაპზე გაქვთ კომუნიკაცია?

– რა თქმა უნდა. ბუნებრივია, ყველასთვის უპირველესი გამოწვევა კორონავირუსის გავრცელების შეჩერებაა. ჩვენც ჩვენი ძალისხმევა აქეთ მივმართეთ. ბოლო კვირების განმავლობაში სხვა ტონალობის ოპოზიციას ხედავთ. ჩემი აზრით, „ოცნებამ“ ეს სათანადოდ ვერ შეაფასა, რაც მისი პრობლემაა, თუმცა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ვაგრძელებთ კონტაქტს. ამ გამოწვევას, რასაც კორონავირუსი ჰქვია, მსოფლიო აუცილებლად დაძლევს, მათ შორის აშშ, სადაც მძიმე ვითარებაა, ასევე – ევროკავშირის ქვეყნები და ეს გამოწვევა აუცილებლად გადაილახება, მაგრამ არავის დაავიწყდება ის დანაპირები, რომელიც გაცემული აქვს „ქართულ ოცნებას“. მას ყოველთვის შეახსენებენ.

იმედი მაქვს, ხელისუფლება კეთილგონიერი იქნება და ივანიშვილი არ ჩათვლის, რომ გლობალური გამოწვევების ფონზე საერთაშორისო თანამეგობრობას დაავიწყდება საქართველო ან მისი მხრიდან გაცემული დაპირებები, ან შერბილდება ის მოლოდინები, რომლებიც არჩევნებთან დაკავშირებით არსებობს.

ასეთი რამე ნამდვილად არ მოხდება. შესაძლოა, ახლა დროებით გადართული ვიყოთ პანდემიასთან დაკავშირებით, რაც სრულიად ნორმალურია, მაგრამ ეს თემა აუცილებლად დაძლეული, მათ შორის ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან და პოლიტიკური ცხოვრება გაგრძელდება.

– 13 აპრილს ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესია. რას ელით და ფიქრობთ თუ არა, რომ ეს იქნება პირველი ტესტი იმ დაპირებებთან დაკავშირებით, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ?

– რა თქმა უნდა, ეს იქნება ტესტი. „ოცნება“ ცდილობდა, გაემხნევებინა საკუთარი ამომრჩეველი, რომ კონკრეტულ გვარებზე არანაირი საუბარი არ ყოფილა, მაგრამ იყო კონკრეტული შეთანხმება და ამ პროცესთან დაკავშირებით მოლოდინები არსებობს.

მე არ მინდა, წინმსწრებად ამაზე რამე შეფასება გავაკეთო და ჩემს მოლოდინებზე ვისაუბრო, მაგრამ ზოგადი მოლოდინი არის ის, რომ აღნიშნული შეთანხმება შესრულდება, შეწყდება პოლიტიკური დევნა, პოლიტპატიმრები გამოვლენ გარეთ იმისთვის, რომ პოლიტიკური პროცესი, ასე თუ ისე, ნორმალიზდეს და შევიდეთ საარჩევნო კამპანიაში.

– ანუ თქვენი მთავარი სათქმელია, რომ პოლიტპატიმრების თემა დღის წესრიგიდან არავითარ შემთხვევაში არ მოიხსნება?

– რა თქმა უნდა, არ მოიხსნება და ვერც მოიხსნება. გასაგებია, დღეს ყველა ნორმალური, რაციონალური ადამიანისთვის პირველი საზრუნავია, რომ ჩვენი ქვეყანა გაუმკლავდეს კორონავირუსის გამოწვევას და ამან განსაზღვრა ჩვენი კრიტიკის შინაარსი ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, მაგრამ ეს არ არის გადაულახავი გამოწვევა. ყველა ქვეყანა დაძლევს ამ გამოწვევას და შემდგომ, ერთი მხრივ, იქნება ძალიან სერიოზული ეკონომიკური რეცესია, რომელზეც, როგორც ვხედავ, ხელისუფლებას არანაირი მზაობა და გეგმა არა აქვს, ხოლო მეორე მხრივ არის ის ვალდებულებები, რომლებიც მას აღებული აქვს ჩვენს პარტნიორებთან. ეს შეთანხმებები ივანიშვილმა და მისმა მომლაპარაკებლებმა შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა შეასრულონ.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ არჩევნების კონტექსტში კორონავირუსის პრობლემების გამოყენება ხდება?

– რა თქმა უნდა. ცოტა კომიკურია ამაზე სერიოზულად საუბარი, მაგრამ ამაზე მიუთითებს თუნდაც ის კლიპები, რომლებიც, ფაქტია, „ქართული ოცნების“ დაფინანსებით შეიქმნა და შემდეგ აქტიურად ხდება მათი გამოყენება, მათ შორის სოციალურ ქსელებში, რაც კამპანიურ ხასიათს ატარებდა. აშკარაა, „ოცნება“ ცდილობს, ეს მძიმე ვითარება სათავისოდ გამოიყენოს. თუმცა პანდემიური პრობლემები გადაივლის, საქართველოშიც ეს პრობლემები ნელ-ნელა წამოვა ქვემოთ და ჩვენს პარტნიორებს ექნებათ ისევ ის მოლოდინები, რომლებიც მანამდე ჰქონდათ.

ცხადია, „ქართული ოცნება“ ვერ აგვარებს ადამიანების ეკონომიკურ პრობლემებს. ეს კიდევ უფრო გამწვავდება გლობალური პანდემიის შედეგად მიღებული მსოფლიო ეკონომიკური რეცესიით. „ოცნება“ ვერ უმკლავდება გამოწვევებს, იქნება ეს ადამიანის უფლებების თუ ეკონომიკური მიმართულებით. ეს მოლოდინები საზოგადო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ რეიტინგი აქვს, მაგრამ ავტორიტეტი — არა“

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

„როგორც კი პოლიტიკური ციკლი გაიხსნება, სერიოზულ ესკალაციას უნდა ველოდოთ“

– ბატონო გია, ეს პერიოდი საპარლამენტო არჩევნებზე იქონიებს თუ არა გავლენას?

– იმედი მაქვს, არჩევნები ოქტომბერში ჩატარდება. ბუნებრივია, გავლენას იქონიებს. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ბევრი რამე შეიცვლება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სამყაროში.

დღეს მოსახლეობა მაქსიმალურად ლოიალურია ხელისუფლების მიმართ. შესაბამისად, რეიტინგი მაღალია, მაგრამ ეს რეიტინგი ძალიან მყიფეა. რაც შეეხება ავტორიტეტს, რაც ბევრად უფრო სტაბილური კატეგორიაა, სტაბილური ავტორიტეტისთვის ხელისუფლებას არ მიუღწევია. სიკვდილის შიში განაპირობებს ლოიალობას, ვიდრე ხელისუფლების ეფექტური მოქმედებები. თუ სიკვდილის შიში ლოიალობას იწვევს, შიმშილის შიში, პირიქით, აგრესიულს ხდის ადამიანებს ხელისუფლების მიმართ.

როდესაც აქტიური საარჩევნო კამპანიის ფაზაში გადავალთ, სიკვდილის შიში უკანა პლანზე იქნება, წინ შიმშილის შიში წამოვა. ადამიანები აგრესიულები გახდებიან და, ხელისუფლება თუ არ იქნება საკმარისად ეფექტური სოციალური რისკებისა დაზღვევის კუთხით, სერიოზული პრობლემა შეექმნება.

ყველაფერი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, თუმცა ძალიან რთული ამოცანის წინაშეა. ომი დასრულდა, გეშინოდეთ მშვიდობის! სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვხედავ ხელისუფლებაში იმის რესურსს, რომ სოციალური რისკები დააზღვიოს.

– ამ ფონზე რის შეცვლა მოუწევს ოპოზიციას?

– ჩვენ მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა არ გვაქვს, ჩვენ ოპოზიციის პრობლემაც გვაქვს. ამიტომ სკეპტიკურად ვუყურებ, რომ ოპოზიცია რამეს შეცვლის. მათი წინასაარჩევნო კამპანია ხელისუფლების ზღვარგადასულ კრიტიკაზე იქნება აგებული. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ეს, ხშირ შემთხვევაში, უკუშედეგის მომცემია. პოზიტიურ, კონსტრუქციულ დღის წესრიგს მათგან არ ველოდები.

– ივნისის მოვლენების დროს ოპოზიციის მიმართ განწყობები სულ სხვა იყო.

– დღევანდელი განწყობა შიშმა განაპირობა. ამიტომ ხელისუფლებისადმი ადამიანების დღევანდელი დამოკიდებულება ინდიკატორად არ გამოგვადგება. არ შეიძლება, ამით განვსაზღვროთ, თუ რა იქნება არჩევნებზე. არც ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს ეს ილუზია. ადამიანებს აუცილებლად მოშივდებათ და, თუ მათ ამ პრობლემას ხელისუფლება ვერ მოუგვარებს, მერე ყველას გაახსენდება 20 ივნისიც და კიდევ სხვა რაღაცებიც.

ძალიან არაპროგნოზირებად ვითარებაში აღმოვჩნდით. დღეს დანამდვილებით არც ის ვიცით, ჩატარდება თუ არა არჩევნები ოქტომბერში. აქედან გამომდინარე, ძალიან რთულად საპროგნოზოა, რა იქნება.

– საკონსტიტუციო ცვლილებები შეიძლება ჩავარდეს?

– ესეც თუ ჩავარდა, მაშინ აღარ ყოფილა საშველი. რადგან კონსენსუსი მიღწეულია, შეთანხმება ბოლომდე უნდა მივიდეს. ეს ეტაპი მაინც უნდა გავიაროთ.

– ვირუსის დამარცხების შემდეგ ბევრი ამბობს, რომ მსოფლიოში ბევრი რამე შეიცვლება. ქართული პოლიტიკა შეიცვლება?

– პოლიტიკურ ურთიერთობებში, საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში რადიკალური ცვლილებები ნაკლებად არის მოსალოდნელი. სამყარო სხვა გაგებით შეიცვლება. ეს უფრო სამყაროს ეკონომიკურ მოდელს ეხება. სამომხმარებლო ბულემიისგან გათავისუფლდება სამყარო, ასეთი გლობალური აღარ იქნება. გლობალისტური პროექტები უფრო შეიკუმშება.

– რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკას?

– რაც შეეხება შიდა პოლიტიკას, ბევრი არაფერი შეიცვლება.

– არც ურთიერთობები ოპოზიცია-ხელისუფლებას შორის? დღეს ეს ურთიერთობები სხვანაირია.

– ოპოზიცია-ხელისუფლებას შორის ურთიერთობები დაახლოებით ისეთი იქნება, როგორიც აქამდე გვინახავს და იყო. მეტიც, არჩევნებისთვის ტემპერატურა უფრო მაღალი იქნება, ამდენი ხნის შეკავების შემდეგ ერთად ამოხეთქავს.

როგორც კი პოლიტიკური ციკლი გაიხსნება, სერიოზულ ესკალაციას უნდა ველოდოთ.

გიორგი ბაბუაძე: „კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა მზად არის“



მეცნიერი გიორგი ბაბუაძე, რომელიც კანადაში მეცნიერთა ჯგუფთან ერთად ახალი კორონავირუსის ვაქცინის შექმნაზე მუშაობს, აცხადებს, რომ ვაქცინა მზად არის.

– ცხოველებზე ჯერ არ დასრულებულა ექსპერიმენტები. გამოცდა მიმდინარეობს სხვადასხვა მოდელის ცხოველზე. სრული პასუხი ყველა მოდელის ცხოველიდან გვექნება 15 ივნისისთვის. ჩვენ ვმუშაობთ მესამე ტიპის ვაქცინაზე, რომელიც არ საჭიროებს ცოცხალი ან ანტივირუსის შეყვანას ორგანიზმში. ეს არის კონკრეტული დნმ პლატფორმის მეშვეობით, კონკრეტული ვირუსის ანტიგენის შეყვანის მექანიზმი.

რადგან პლატფორმა უკვე მზად იყო, ჩვენ მაშინვე შევუდექით ამ საქმეს და ორი თვეც არ დაგვჭირდა, მზად გვქონდა ვაქცინა. პრეკლინიკურ ფაზაში ვართ. ამას სჭირდება გარკვეული დრო. 30-40 დღე გვაშორებს პრეკლინიკური ფაზის საბოლოო პასუხებს, თუმცა ეს ხელს არ გვიშლის, კლინიკურ ფაზაში გადავიდეთ.

კლინიკურ ფაზაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს პარალელურად ან მას შემდეგ, რაც გვექნება პირველი უჯრედული იმუნური პასუხი მაინც, 28 დღის შემდეგ პირველი ვაქცინაციიდან. დაახლოებით ორ კვირაში გვეცოდინება, შევალთ თუ არა კლინიკურ ფაზაში ამ ერთი თვის განმავლობაში. დღევანდელი ტექნოლოგიები რომ არა, ვაქცინის დამზადებას დასჭირდებოდა ათეულობით წლები. თუმცა, რადგან დღეს გვაქვს ასეთი ტექნოლოგიები, საზოგადოების მხარდაჭერა და სხვადასხვა ორგანიზაცია გამოთქვამს მზაობას, დახარჯონ შესაბამისი თანხები, ვიტყოდი, რომ კლინიკური ფაზის დასასრული შეიძლება ვივარაუდოთ სექტემბერში ან ოქტომბრის ბოლოსთვის, – განაცხადა ბაბუაძემ.

მისივე განმარტებით, კორონავირუსი მუტაციას საათებისა და დღეების მიხედვით არ განიცდის. ბაბუაძის განცხადებითვე, ვირუსმა მუტაცია, შესაძლოა, წელიწადში, ორ წელიწადში, ათ წელიწადში განიცადოს და ეს მათ სამუშაო პროცესზე გავლენას არ ახდენს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კამპანია აქვს გაჩაღებული“

თბილისის მერიამ ბავშვებს გაფუჭებული პროდუქტები დაურიგა

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.

– დიმიტრი, რამდენადაც ხშირად გვესმის მედპერსონალის ქება, იმდენად ხშირია ხელისუფლების კრიტიკა ოპოზიციის მხრიდან. რა კუთხით იმსახურებს ხელისუფლება კრიტიკას, რას აკეთებს არასწორად?

– პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო მთელ მედპერსონალს, რომელიც თავდაუზოგავი შრომით ებრძვის კორონავირუსს და მათ შესაძლებლობაში რაც ჯდება, ისინი ყველაფერს აკეთებენ ამისთვის. თუმცა მთავრობას უნდა ესმოდეს, რომ თუ იმ პიკს გადასცდა, რომლის შესაძლებლობაც შეიძლება დადგეს ჩვენს ქვეყანაში, ექიმები, უბრალოდ, უძლურები იქნებიან და ამის ძალიან კარგი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები.

– ზეგანვითარებული ქვეყანაა და ვხედავთ, რაც ხდება.

– დიახ, ასეა. 80 ათასი ინფიცირება ჰქონდათ და გარდაცვალება დღეში რამდენიმე ათეულს არ სცდებოდა. რაც ნიშნავს იმას, რომ სანამ სახელმწიფოს ეყო რესურსი სასუნთქი აპარატების უზრუნველყოფისთვის, იქამდე გარდაცვალების რიცხვი არ გვქონდა. ახლა თუ ვნახავთ, რაც ხდება, სრული კატასტროფაა.

– დღეში რამდენიმე ათასია გარდაცვლილთა რიცხვი.

– ასეა. ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყოთ მედპერსონალის, თუმცა მარტო ეს არ არის საკმარისი, ხელისუფლება უნდა გაუფრთხილდეს თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობას, ვინაიდან, ჩვენს რესურსს თუ გადავცდით, ჩვენთანაც მსგავსი რამე შეიძლება მოხდეს.

– რას უნდა აკეთებდეს და არ აკეთებს ხელისუფლება?

– პირველი ის, რომ ხელისუფლება ცოტა არათანმიმდევრულია საკუთარ გადაწყვეტილებებში. ეს კარგად გამოჩნდა, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციამ მთლიანი ბურთი და მოედანი დაუთმო და უთხრა, კი ბატონო, რასაც გადაწყვეტთ, იმაში მოგყვებითო. ხელისუფლებამ ამ სიტუაციის სათავისოდ გამოყენება დაიწყო. ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი მართლმადიდებელი ქრისტიანი ვცხოვრობთ, მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეულწილად კონფესიების გამოყოფა ხდება და ვხედავთ, რომ, ასე თუ ისე, არის რაღაც რისკები, მათ შორის იმის, რომ შეიძლება, ინფიცირებულმა შეაღწიოს ტაძრებში და შემდგომ გადასდოს იქ მყოფ ადამიანებს ვირუსი.

– ამით რის თქმა გინდათ, რომ ეკლესიასაც მკაცრად უნდა მოსთხოვს ამ წესების დაცვა ხელისუფლებამ?

– დიახ, რა თქმა უნდა. არა მარტო ეკლესიას, ყველგან, სადაც ხდება თავშეყრა, მეტი სიმკაცრე და ახლა ამოქმედებული წესებისა და კანონების დაცვაა აუცილებელი. მე ასევე ხაზი მინდა გავუსვა ხელისუფლების მხრიდან პირბადეების წარმოებას.

– აქ რა პრეტენზია გაქვთ?

– ორი თვის განმავლობაში გვპირდებოდნენ სრულიად სხვა პირბადეებს და ვნახეთ, რომ მინისტრმა სხვა პირბადეს გაუკეთა რეკლამა. სულ სხვა პირბადე მივიღეთ ორი თვის შემდეგ და ვნახეთ, რომ ერთი ლარი და 14 თეთრი დახარჯა სახელმწიფომ უბრალოდ იმაში, რომ რამდენიმე ფენა ბინტი გადააბეს ერთმანეთს. შემდგომ აღნიშნულ პირბადეს 50 თეთრად ვყიდულობთ აფთიაქში.

– ამ პირბადეებს რას უწუნებთ?

– ჯერ ერთი, დავიწყოთ იქიდან, რომ სულ სხვა პირბადეებს შეგვპირდნენ, მეორეც ის, რომ ამ პირბადის ფასი, 1.14 თეთრი, სრულიად წარმოუდგენელია, იმიტომ, რომ ყველამ ვიცით, ბინტი აფთიაქებში მაქსიმუმ 50 თეთრი ღირს ერთი შეკვრა. როგორ შეიძლება, თორმეტკეცა ბინტის თვითღირებულება იყოს 1.14 თეთრი?! ის მასალა, რომელიც ამ ბინტშია გამოყენებული, მაქსიმუმ იყოს 20 თეთრის. რა უნდათ ახლა, დავიჯეროთ, რომ ერთი პირბადის შეკერვა 94 თეთრი დაჯდა?! ეს არარეალურია! ასევე არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო მერის ინიციატივას, როდესაც ბაღის აღსაზრდელებს საკვებ პროდუქტებს ურიგებენ.

– და ამაში ცუდი რა არის?

– ყველამ კარგად ვნახეთ, რომ იქ აღმოჩნდა დამპალი პროდუქტი. ჩვენ თავიდანვე ვაფრთხილებდით მერიას, რომ პროდუქტების ყიდვასა და მერე ჩამორიგებას სჯობდა, მშობლებისთვის დაერიგებინათ ფული, თუმცა იქიდან განგვიცხადეს, რომ მათ უკეთესად იციან, რა სურთ ბავშვებს. ამიტომ, გინდა თუ არ გინდა, შეიქმნა ეს პრობლემა. ვრცელდება დამპალი კარტოფილის, ვაშლის, დაობებული ყველის ფოტოები, ხოლო თბილისის მერისგან გვესმის იგივე, რაც გვესმოდა ადრე, როდესაც ბაღებში რძის მაგივრად რძის შემცვლელი შეიტანეს და ორაგულის მაგივრად – ხეკი. მაშინაც ზუსტად ასე ვამბობდით, რომ პრობლემა იყო კვებასთან დაკავშირებით და მაშინაც ზუსტად ასე ამბობდა თბილისის მერი, რომ არანაირი პრობლემა არ იყო. რამდენიმე თვეში კი მოუწია უკანდახევა და აღიარა, რომ პრობლემა იყო. ზუსტად ეს პრობლემა დგას დღესაც.

– როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?

– თუ თბილისის მერი ვერ უზრუნველყოფს, ჯანსაღი პროდუქტი მიაწოდოს ბაღის აღსაზრდელებს, მაშინ, კეთილი ინებოს, ბავშვების მშობლებს ჩაურიცხოს თანხა და მშობლები გადაწყვეტენ, რა უყიდონ შვილებს, დამპალი კარტოფილი თუ სხვა ჯანსაღი პროდუქტი. ეს მიმართულებაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ზოგადად, ძალიან ბევრ რამეში წაიბორძიკა ხელისუფლებამ. ძალიან კარგი იქნება, როგორც ოპოზიციამ გადადო ყოველგვარი პოლიტიკური ინტერესები გვერდზე და უთხრა ხელისუფლებას, კი ბატონო, ყველა გადაწყვეტილებაში მოგყვებითო, ასევე ხელისუფლებამაც გადადოს თავისი პოლიტიკური შეხედულებები.

– კერძოდ, რით გამოიხატება ეს ყველაფერი?

– პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კრიზისის დროს „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კამპანია აქვს გაჩაღებული. ჩვენ ვნახეთ მოხსნილი მერები და დაწყებული კამპანიები. ნელ-ნელა აპარებენ და შემოჰყავთ ის მოთამაშეები, რომლებმაც, შესაძლოა, მაჟორიტარად იყარონ კენჭი. ეს ყველაფერი ძალიან მარტივად ჩანს და ხელისგულზეა. იმის მაგივრად, რომ ყველა ერთად, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია და საზოგადოება, ერთად ვებრძოდეთ ამ ვირუსსა და კრიზისს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მას არ სჭირდება არავის დახმარება და გარკვეული ქულების დაწერას ცდილობს.

– ასევე გვესმის შეფასებები, რომ ამ სიტუაციაში კონკრეტული ადამიანების ბიზნესინტერესები იკვეთება, რომ ხდება ბიზნესების გამსხვილება და მცირე და საშუალო ბიზნესის ჩაძირვა. რამდენად არის ასე?

გაგრძელება მე-4 გვერდზე



„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

მურმან დუმბაძე: „ხელისუფლება კეკლუცობს, ივანიშვილს არჩევნების გადადება სურს“

ხელისუფლებამ დადებული პირობა არ უნდა დაარღვიოს, არ უნდა თქვას, პანდემიას ვებრძოდი და საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ვერ მოვიცალე ან პატიმრების გამოშვება დამავიწყდაო

ნათია ხურცილავა

– ბატონო მურმან, „ქართული ოცნების“ რეიტინგის მატებაზე საუბრობს ექსპერტთა ნაწილი და ამას ბუნებრივად ხსნიან. როგორ ფიქრობთ, არჩევნებისთვის რამდენად შეინარჩუნებენ და როგორი იქნება ოპოზიციის შანსები?

– ახლა მთავარია 8 მარტს ოპოზიციასა და „ქართულ ოცნებას“ შორის დადებული პირობის შესრულება. ჩვენ საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერითა და მათი უშუალო ჩარევით ორ მნიშვნელოვან საკითხზე შევთანხმდით. ერთი, კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომ მომავალში არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდეს, 120/30-ზე – ასეთია შეთანხმება. მეორე შეთანხმება პოლიტპატიმრებს ეხება. ეს შეთანხმება მიღწეულია და წერტილი დასმულია.

ამის შემდეგ მოვლენები განვითარდა ისე, როგორც განვითარდა და ეს არავისზე არ იყო დამოკიდებული. სამყაროში მიმდინარე მოვლენებმა მოიტანა ის, რა მდგომარეობაშიც დღეს ვართ. ამ ფონზე ჩვენ, ოპოზიცია, ვალდებული ვართ, ხელისუფლებას გვერდით დავუდგეთ და ეს არის ღირსეული ნაბიჯი ოპოზიციის მხრიდან. ეს უზარმაზარი გამოწვევა არ ეხება მხოლოდ ხელისუფლებას. ეს ოპოზიციასაც ეხება, ისევე, როგორც თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ დადებული პირობა უნდა დაარღვიოს და გვითხრას, პანდემიას ვებრძოდი და საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ვერ მოვიცალე ან პატიმრების გამოშვება დამავიწყდაო.

– თუ ასე მოხდა?

– არა, ეს სრულიად დაუშვებელი და მიუღებელი იქნება. ჩვენ გვერდით ვუდგავართ ხელისუფლებას. ამისთვის ვითხოვდით აგრესიულ ტესტირებას, რომ კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლა მალე დასრულდეს და ქვეყანა გადავიდეს იმ რელსებზე, რომელსაც საარჩევნო გარემო, გაჩერებული ეკონომიკის ამუშავება ჰქვია. უახლოეს 10-15 დღეში ეკონომიკის მიმართულებით ქვეყანაში კატასტროფული დღეები გველოდება. ადამიანების გაღატაკებასა და შიმშილს რაც მოჰყვება, ამის წარმოდგენა ალბათ არ იქნება რთული. აქამდე ეკონომიკური პროგრამა სწორედ ამიტომ უნდა დადებულიყო, რომ ადამიანებს ოდნავ მაინც შეჰქმნოდათ იმაზე წარმოდგენა, თუ რა ელოდებათ მომავალში.

თუ ჩვენ, ოპოზიცია, მხოლოდ ტელეეკრანების წინ თვითიზოლაციაში უნდა ვისხდეთ და მთავრობა, ექიმებთან ერთად, დაინფიცირებულთა სტატისტიკას უნდა გვაწვდიდეს, ასე არ გამოვა. მას მოუწევს ორ კითხვაზე პასუხის გაცემა: ერთი, ეკონომიკურ გეგმაზე, რას აპირებს და მეორე, რატომ ვერ მოხერხდა აგრესიული თუ საყოველთაო ტესტირება! თუ ამ მიმართულებით წავიდოდით, მაშინ 15 აპრილისთვის საგანგებო მდგომარეობის მოხსნის საკითხიც კი დადგებოდა.

– წინასაარჩევნოდ მოცემულობა შეიცვლება?

– რა თქმა უნდა, თუ არჩევნების თარიღმა არ გადაიწია.

– შეიძლება გადაიწიოს?

– არ გამოვრიცხავ. ერთადერთი კაცი, რომელსაც დღეს არჩევნების გადადება აწყობს, ბიძინა ივანიშვილია. თუმცა, აშკარაა, რომ ხელისუფლება კეკლუცობს, რაღაც კლიპიც კი გადაუღია. ეს უკვე წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. ხელისუფლებამ უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. მე კი არ ვამბობ, რომ ხელისუფლებას ამის უფლება არ აქვს, როგორ არა, ამის უფლება მას აქვს, მაგრამ ჯერ კითხვებია და ამ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი. როდის მოიხსნება საგანგებო მდგომარეობა თუ საგანგებო მდგომარეობის პირობებში დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია?!

– როგორ ფიქრობთ, საკონსტიტუციო ცვლილებები მოხდება?

– არ გამოვრიცხავ, უმრავლესობას საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა უნდოდეს.

– თუ მართლაც ასე მოხდა?

– წინ გარკვეული დროა და ამ დროს ველოდებით. ჩვენ, ოპოზიცია, მაქსიმალურად დავუდექით ხელისუფლებას, რაც შეგვეძლო, რეკომენდაციების სახით მივეცით, რომ უფრო ადვილად მოხდეს იმ პრობლემის გადატანა, რომელიც ყველამ ერთად უნდა გადავიტანოთ. მაგრამ მუდმივად მოფერების რეჟიმში ხომ არ ვიქნებით?! გინდა თუ არა, მოახლოვდება არჩევნები და ოპოზიცია გამოვა გარეთ, პოლიტიკური ველი გაიხსნება. არ მესმის, რატომ უნდა მოვეფეროთ ხელისუფლებას?! არ გამოვა, მთავრობა ექიმებისა და მედიცინის ენით გველაპარაკოს.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ებაში ისევ იქნება, რაც შემდეგ აისახება არჩევნებზე.

– ადამიანის უფლებების მიმართულებაზე როდესაც საუბრობთ, რა გაქვთ მხედველობაში?

– მათ შორის ის თემა, რომელზეც კითხვა თავიდანვე დამისვით. არ მოხდა სასამართლოს დეპოლიტიზაცია და ხდება სასამართლო სისტემის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. ამ სისტემით მანიპულირება, დაშინება, ან თუ ამას ვერ მიაღწევენ, მაშინ ადამიანების ციხეში გამოკეტვა და მათი გაჩუმება, იქნებიან ესენი პოლიტიკური ოპონენტები, მედია თუ კრიტიკული აზრის მქონე ადამიანები. ეს უნდა შეიცვალოს და ამის მოლოდინი აქვს მოსახლეობას.

– პანდემიის წინააღმდეგ შექმნილ სამთავრობო ფონდში ივანიშვილმა 100– მილიონიანი შემოწირულობა გააკეთა. თქვენ პირადად როგორ უყურებთ ამ საკითხს?

– პარასკევს გავრცელდა საკმაოდ სკანდალური ინფორმაცია და ამაზე შაბათს ნაციონალურმა მოძრაობამ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში განცხადებაც შევიტანეთ იმისათვის, რომ ამ 100 მილიონი ლარის წარმომავლობა შეისწავლონ.

თინა ბოკუჩავა: „ოქრუაშვილის საქმე ტესტი იქნება“

ჩვენ კონფიდენციალურმა წყარომ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ამ თანხის მობილიზება მოხდა ოფშორული კომპანიის მიერ, რომელიც მონაწილეობს სარკინიგზო გადაზიდვებში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ივანიშვილი იღებს ფულს საქართველოს მოქალაქის ჯიბიდან და ვითომ ქველმოქმედების სახით რიცხავს ამა თუ იმ ფონდში, ამ შემთხვევაში – კოვიდ 19-ის დაძლევის მიზნით შექმნილ ფონდში. ეს არის სრული ცინიზმი და ამას საქართველოს მოქალაქეები დაინახავენ სიმართლის გარკვევით. ეს არის მოპარული ფული, რომელსაც ივანიშვილი ქველმოქმედებად ასაღებს. ჩვენ გვინდა ამის გარკვევა და ამიტომ მივმართეთ მონიტორინგის სამსახურს.

ფონდ „ქართუს“ წარმომადგენლებს როდესაც ჰკითხეს, ვინ ჩარიცხა „ქართუში“ ფული იმისათვის, რომ შემდეგ გადარიცხულიყო კორონას წინააღმდეგ შექმნილ ფონდში, მათ თქვეს, ივანიშვილის ოჯახმაო. ოჯახი არ არის იურიდიული პირი და ის ან პირადი ანგარიშიდან უნდა გადაირიცხოს, ან კომპანიის ანგარიშიდან. თუ არ გაასაჯაროებენ კონკრეტულ ინფორმაციას და საზოგადოებას მეტ ინფორმაციას არ მიაწვდიან, მაშინ ჩვენი ეჭვები მხოლოდ გაიზრდება, რომ ეს მართლაც არაკანონიერად და კორუფციული გზით მობილიზებული ფული იყო, რომელიც ივანიშვილმა ქართველ ხალხს ერთი ჯიბიდან ამოაცალა და მეორეში ჩაუდო, ოღონდ ეს გაიფორმა, როგორც საკუთარი ქველმოქმედება.

– „იმედის“ ინტერაქტივის თანახმად, სახელმწიფოს მტრად გამოცხადდა ის, ვინც კმაყოფილებით არ შეხვდა ივანიშვილის შემოწირულობას.

– „იმედი“ რუსულ პროპაგანდისტულ არხებსაც ეჯიბრება, მე მგონი, საკუთარი სარედაქციო პოლიტიკით, სადაც კრიტიკული აზრის არათუ გამოთქმა, ალბათ, მისი გაელვებაც კი სახელმწიფოს მტრობად გამოცხადდება და რაღაც მუხლსაც მოგვისჯიან ამის გამო. ჩვენ ეს არაერთხელ გვინახავს, როდესაც სახელმწიფო ამბოხებასა თუ გადატრიალებას იმის გამო გვაბრალებენ, რომ კრიტიკული მოსაზრებები გვიჩნდება. ამიტომ ამ ტელეკომპანიაზე მე აქცენტს ვერ გავაკეთებდი.

ერთადერთი, ის შემიძლია ვთქვა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ლეგიტიმურია კითხვების დასმა. ამას აკეთებს ნაციონალური მოძრაობა და მივმართავთ შესაბამის უწყებებს, შეისწავლონ ამ ფულის წარმომავლობა. კითხვების დასმა დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ძალიან ვწუხვარ, რომ „იმედის“ ჟურნალისტებს, რედაქტორებსა თუ ხელმძღვანელებს ნიკა ლალიაშვილის თაოსნობით ეს არ უსწავლიათ არც ჟურნალისტიკის სწავლებისას და არც პრაქტიკაში მიიღეს ეს გამოცდილება.

კრიტიკული აზროვნება ადამიანის ღირსებაა და არა პირიქით.

პეტრე მამრაძე: „საქართველოში ოპოზიცია არ არის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, თქვენ იყავით პარლამენტის წევრი, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი, სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, ამიტომ საინტერესოა თქვენი შეფასება, როგორ შეხვდა ქვეყანა საგანგებო მდგომარეობას და როგორი მომზადებული იყო ამისთვის ხელისუფლება?

– თქვენ მოწმე ხართ იმისა, როგორ მწვავედ ვაკრიტიკებ ხოლმე „ოცნების“ ხელისუფლების ყველა შტოს ყოველთვის სავსებით არგუმენტირებულად. თუმცა ამ შემთხვევაში მინდა, კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ საკმაოდ მაღალ დონეზე შეხვდნენ ამ პანდემიას. თვითონ მოემზადნენ საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად, მოამზადეს მოსახლეობა. ეს უცებ არ გააკეთეს.

ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის, აშკარაა, რომ მანამდე მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა, ვიდრე საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებდნენ. თუ გახსოვთ, არმიის ყაზარმულ მდგომარეობაზე გადასვლა წინასწარ გამოცხადდა.

– დიახ, მახსოვს.

– მე მაშინვე მივხვდი, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდებოდა. ყაზარმული მდგომარეობა ეხმარება, როცა კრიზისების დროს საჯარისო ფორმირებების მობილიზაცია და გადასროლა ხდება. იგივე, ვთქვათ, მარნეულის შემთხვევის დროს, როდესაც ვირუსის გავრცელების დიდი კლასტერი გაჩნდა და ხელისუფლებამ ამ კლასტერში ადამიანების იზოლირება შეძლო. შს სამინისტროს სპეცდანაყოფებთან ერთად ჯარიც იყო გამოყენებული. ყველაფერი სწრაფად მოხდა. ასე რომ, მთლიანობაში, მე ნამდვილად დადებით შეფასებას ვაძლევ.

საქართველო, სამწუხაროდ, ულატაკეს ქვეყნად რჩება ევროპასთან შედარებით. მისი რესურსები საკმაოდ მწირია. მით უმეტეს, ამის კვალობაზე საკმაოდ კარგად მოქმედებდნენ.

– მსგავსი შეხედულება არ დარჩა პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს. მან განაცხადა, რომ საგანგებო ვითარებას ქვეყანა და ხელისუფლება მოუმზადებელი შეხვდა. ასევე პარლამენტის მუშაობაც გააკრიტიკა. მაშინ რით შეიძლება იყოს გამოწვეული უსუფაშვილის ასეთი შთაბეჭდილება და შეფასება?

– უსუფაშვილი ცნობილია თავისი სრულიად არაადეკვატური განცხადებებით.

როდესაც უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე იყო, გამოდიოდა რა სხვადასხვა ფორუმზე, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარეების შეკრებებზე, იქ აცხადებდა: თუ საქართველო ნატოსაგან დროულად არ მიიღებდა მაპს ანუ გაწევრიანების გეგმას, საქართველო აილაგმებოდა პირისაგან მიწისა; საქართველო გეოგრაფიულად შეწყვეტდა არსებობას.

ამ დროს საქართველოსთვის მაპის მიცემა ნატოს სამიტებზე დღის წესრიგშიც კი არ დამდგარა და საქართველოში არაფერი მოხდა.

უსუფაშვილის კიდევ ბევრი განცხადების გახსენება შეიძლება. მაგალითად, თავისი საარჩევნო კამპანიისას რაღაც ქაღალდი რომ ჩაატარა და თქვა, გათავისუფლდითო, გახსოვთ?

მაშინვე ვიკითხე, რისგან გავთავისუფლდით? მივიდე და ნაგვის ყუთებთან რომ დგანან მათხოვრები, ვუთხრა, გათავისუფლდით-მეთქი? უსუფაშვილს სრულიად არაადეკვატური ლოზუნგი ჰქონდა.

– ახლა პოზიცია-ოპოზიციის ურთიერთდაპირისპირების მიზეზი კორონას დასამარცხებლად შექმნილ ფონდში ბიძინა ივანიშვილის მიერ 100 მილიონის გადარიცხვა გახდა.

– ეს ხომ ოპოზიცია არ არის.

– როგორ არ არის?

– ოპოზიცია არ არის, რადგან საერთოდ ოპოზიცია ერთგულია ეროვნული ინტერესებისა, ოღონდ სხვა ხედვა აქვს იმისა, როგორ უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ. მთელ მსოფლიოში ასეა, მაგრამ ესენი არიან ადამიანები, რომელთა დევიზია: რაც უარესი საქართველოსთვის, მით უკეთესი მათთვის. ეს მათ დაამტკიცეს როგორც სააკაშვილთან ხელისუფლებაში ყოფნისას, ისე ახლაც. ივანიშვილს აკრიტიკებენ იმისათვის, რომ 100 მილიონი ლარი გადარიცხა.

– მელიამ თქვა, რომ ივანიშვილმა საქართველოდან მილიარდის ოქრო და სპილენძი გაიტანა. ასე რომ, ფონდში გადარიცხული თანხა ძალიან მცირეაო.

– ივანიშვილს საქართველოდან კაპიკი არ გაუტანია. მილიარდები გაიტანეს სააკაშვილმა, ბიძამისმა და მელიას სხვა ხელმძღვანელებმა. მათ ჩააბარეს ყველა ღირებული ობიექტი რუსებს და მხოლოდ რუსებს, იქნება ეს მადნეული, კვარციტი თუ სხვა. ამის გამო ნაცებს არასოდეს გაუკრიტიკებიათ სააკაშვილი, რომ მან ყველაფერი, რაც საქართველოს ღირებული ჰქონდა, მხოლოდ რუსებს ჩააბარა იმის გამო, რომ ატკატები მიეღო და იქიდანაც წილები მიეღო. დასავლეთი ამაზე არ წამოვიდოდა.

ყველას გვახსოვს, სააკაშვილს თავისი ბიძა, ალასანია, როგორ ეუბნება, ახლა ტრამპის გვერდით კოტეჯებს ვყიდულობთო. ტრამპის გვერდით ის კოტეჯები იქ 100 მილიონი ღირს. ამ დროს ამაზე სააკაშვილს პასუხს არავინ სთხოვს.

– ხალხი ხომ ხედება, რა როგორ არის?

– ყველა ვერ ხვდება. ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ჭეშმარიტად დეგრადირებულია. თავის დროზე ნარკომანიამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ადამიანები აზარტულ თამაშებზე არიან დამოკიდებული. ძალიან შთამბეჭდავი ციფრებია. ახალგაზრდების 70% აზარტულ თამაშებზეა დამოკიდებული. ასეთი საზოგადოებისაგან არაფერია გასაკვირი. მეც ბევრჯერ მომისმენია, ივანიშვილი ფულს რატომ არ გვირიგებსო. ხომ გესმით, რა დონის მარაზმია.

– ივანიშვილს, ალბათ, იმიტომ აკრიტიკებენ, ხელისუფლებაში რომ არის.

– არა მარტო. ივანიშვილი ხელისუფლებაში ნამდვილად არ არის. საერთოდ, ყოველთვის ცდილობს, არ ჩაერიოს, თუ რაღაც ისეთი ვითარება არ იქნება. როცა გაიგებს, ძალიან ცუდად არის საქმე, მაშინ იცის ხოლმე თავისი რესურსის გამოყენება.

გავიხსენოთ, ივანიშვილმა რომ თქვა, აბა, ჰკითხეთ კვირიკაშვილს, თქვას, რამდენჯერ დავურეკეო. ასევე თქვა, როცა დაბრუნება მოვინდომე, ჩემივე თანაგუნდელების დიდმა ნაწილმა ჩემი დაბრუნება არ მოინდომა, არ უნდოდათ ჩემი დაბრუნება, მაგრამ რესურსი არ ეყოთო. ივანიშვილის მთავარი ქველმოქმედება სააკაშვილის სადისტური რეჟიმის მოშორებაა. ეს მე ვთქვი და მერე ივანიშვილმაც გაიმეორა.

– ახლა სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, როგორი მომზადებული შეხვედებოდნენ არსებულ გამოწვევას?

– ახლა რომ სააკაშვილი ყოფილიყო, დღე და ღამე იქნებოდა გადაცემები მისი ტელევიზიებით (ის ხომ ყველას აკონტროლებდა), რომ არნახული წარმატებაა. ამ დროს გააკონტროლებდა სტატისტიკას, გარდაცვლილთა რაოდენობას დამალავდა, იტყოდა, არავინ გარდაცვლილაო. ვინ გაბედავდა თქმას, ოჯახის წევრი კორონავირუსით გარდამეცვალაო.

სააკაშვილმა კორტები რომ დაანგრია, იქ უამრავი ხე აჩეხა, 200-მდე 150-წლიანი უძველესი ხე მოსპო, მათ შორის – უნიკალური ბიბლიური ხე. ყველაფერი აჩეხა-დაჩეხა. ვინმემ რამე უთხრა? ივანიშვილმა ხეები გადაარჩინა. დაავადებული ხეები შეისყიდა, გადაარჩინა, ადამიანებს ფული გადაუხადა და ამბობენ, ამას რატომ შვრებაო. ეს ხალხია? ეს ბოლომდე გახრწნილი ფენაა.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი საქართველოს ხელისუფლებას რესპუბლიკაში კორონავირუსის შეღწევის ხელშეწყობაში ადანაშაულებს

როკის გადასასვლელზე 13 აპრილიდან შეზღუდვები მკაცრდება

მარიამ მჭედლიშვილი

ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში ფაქტობრივი კარანტინი 27 მარტიდან მოქმედებს. ოფიციალური სტატისტიკით, იქ კოვიდ 19-ით ინფიცირებული არც ერთი პირი არ არის. ადამიანების ნაწილი იზოლაციის რეჟიმის მოთხოვნებს სახლებში ასრულებს, სამი პაციენტი კი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. აქედან ორი — ცხინვალის, ერთი კი — ზნაურის საავადმყოფოში. ამ დღეებში საავადმყოფოებში გახსნიან სპეციალურ პალატებს კარანტინისათვის, სადაც ადამიანებს უფასო სურსათითა და ინტერნეტით უზრუნველყოფენ.

რეგიონში კორონავირუსის დიაგნოსტირებისთვის ტესტებს იყენებენ. დადებითი პასუხი არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა.

ცხინვალის რეგიონის ეპიდემიოლოგების შეფასებით, სიტუაცია ისევ სტაბილურია.

დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი გადმოსასვლელები ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს დაიკეტა. საქართველოს ხელისუფლებამ თავიდანვე გამოთქვა მზადყოფნა, უმკურნალოს კორონავირუსით ინფიცირებულ მოქალაქეებს ორივე ოკუპირებული რეგიონიდან.

მიმოსვლის შეწყვეტის მიუხედავად, საოკუპაციო ხელმძღვანელობის უშიშროების სამსახურმა, „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა“, თბილისს ბრალდებები მაინც წაუყენა.

12 აპრილს კომიტეტმა განაცხადა, რომ კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო შემზღუდავი ზომების მიღების მიუხედავად, შეინიშნება კონტრაბანდული საქმიანობის აქტივიზაცია. კომიტეტის მტკიცებით, კონტრაბანდა ქართული მხრიდან, ცხინვალის ტერმინოლოგიით, „სამხრეთ ოსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან“ ახალგორის („ლენინგორის“) გავლით შემოდის.

ცხინვალის რეჟიმის უშიშროების კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონტრაბანდის არხის ორგანიზაციის უკან დგანან საქართველოს სპეცსამსახურები, რომლებიც უკანონობაში ითრევენ „საზღვრისპირა“ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს.

ცხინვალის უშიშროების ორგანო აცხადებს, რომ ამ უკანონო საქმიანობის მიზანია „სახელმწიფო საზღვრის“ რეჟიმის მოშლა და წინაპირობების შექმნა კოვიდ 19-ის „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე შეღწევისათვის.

საოკუპაციო უშიშროების კომიტეტის მონაცემებით, ქართულ კონტრაბანდულ საქონელს შორისაა ფქვილი, ზეთი, შედედებული რძე, ხორცისა და თევზის კონსერვები, ჰიგიენის საშუალებები, პირბადეები და რეზინის ხელთათმანები.

ოსური უშიშროება დარწმუნებულია, რომ ეს პროდუქცია გორის მუნიციპალიტეტის მაღაზიებში უნდა გაყიდულიყო, სადაც კრიზისული პროცესებია. შიდა ქართლის სოფლებში პირველადი მოხმარების პროდუქტების ნაკლებობაა იმ ფონზე, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში მრავალმილიონიან ჰუმანიტარულ დახმარებას აგზავნიან.

13 აპრილიდან 1 მაისამდე ამოქმედდა გამკაცრებული და დაზუსტებული შეზღუდვები. საკონტროლო-გამშვები პუნქტის გადმოლახვა ეკრძალებათ იმ პირებს, რომლებიც რეგიონის მოქალაქეები არ არიან. მოქალაქეებმა წინასწარ უნდა შეატყობინონ ცხინვალს, რომ მოემგზავრებიან.

ასევე რეგიონში შემოუშვებენ რუსეთის სამხედროებს, რომლებიც ბაზისკენ მიემგზავრებიან, რუს დიპლომატებსა და მათ ოჯახებს, რუსეთის ფოსტის გადამტან მძღოლებსა და სხვა.

დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი შეზღუდვების თაობაზე სიტუაციის განმარტების მიზნით შეხვდა ბიზნესმენებსა და გადამზიდავებს. მისი თქმით, უახლოეს ხანში როკზე იმოძრავებენ მხოლოდ ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც 7 ტონა და მეტი გადააქვთ. სხვებს მიმოსვლა ეკრძალებათ. ამ სატვირთოებს შემოსვლისას ჩაუტარდებათ დეზინფექცია, მძღოლებს კი ორკვირიან კარანტინში მიავლენენ.

– არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ამ საფრთხეს ვერ იგებენ. ყველა რატომღაც დარწმუნებულია, რომ მას ის არ შეხვდება. ვირუსმა გარჩევა არ იცის. ჯერჯერობით ეს დაავადება ჩვენთან არ არის. მისი გავრცელება ჩვენს ტერიტორიაზე არ უნდა დავუშვათ, – განაცხადა ბიბილოვმა.

რეგიონის მოსახლეობას საზოგადო მოღვაწეებიც მიმართავენ. საერთაშორისო ორგანიზაცია „ოსთა უმაღლესი საბჭოს – ირი სტირ ნიხასის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი რობერტ გაგლოითი აღნიშნავს, რომ კორონავირუსი ოსი ხალხისთვის ახალი მტერი და უსერიოზულესი გამოწვევაა.

მეტი დამაჯერებლობისთვის გაგლოითი ნერგავს ქართველი ხალხის მტრის ხატს.

მისი თქმით, ქართველებმა ვერ მოსპეს ოსები, რომლებიც არიან მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილის – სკვითი-სარმატებისა და ალანების შთამომავლები.

გაგლოითის სიტყვებით, ბოლო 31 წლის განმავლობაში მომხდარ მძიმე მოვლენებს, რომლებიც 2008 წელს ოსი ხალხის გენოციდში გადაიზარდა, დაემატა 21-ე საუკუნის შავი ჭირი – კოვიდ 19.

იგი მოუწოდებს თანამემამულეებს, შეასრულონ ექიმებისა და ხელისუფლების მოთხოვნები და რჩევები და არ დაუშვან ეპიდემიის გავრცელება ცხინვალის რეგიონში.

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კამპანია აქვს გაჩაღებული“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს გადავხედავთ, მარტივად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიახ, ასეა. თუნდაც ავიღოთ ბოლო პერიოდის შემთხვევა, „სუფთა სახლის“ დახურვა. რას ემსახურებოდა ეს ყველაფერი?! როდესაც გამოდიან ხელისუფლების წარმომადგენლები, მედიკოსები, ინფექციონისტები და გვეუბნებიან, რომ ხშირად უნდა დავიბანოთ ხელი, ჰიგიენური საშუალებები უნდა ვიხმაროთ და ამ დროს მიდიხარ და იმ ობიექტს კეტავ, სადაც ძალიან მარტივად შეგვიძლია, სახლთან ახლოს შევიძინოთ ეს ჰიგიენური საშუალებები, გვიკეტავ და გვეუბნები, რომ რამდენიმე კილომეტრი უნდა გავიაროთ და მეორე რაიონში გადავიდეთ, მაგალითად, კარფურში იმისთვის, რომ ეს საშუალებები ვიყიდოთ.

– კარფური მუშაობს სრული დატვირთვით. ყველანაირი პროდუქცია იქ შედის?

– დიახ, ასეა. ჯერ დავიწყოთ იქიდან, რომ „სუფთა სახლში“ იგივე პროდუქცია ბევრად იაფია, ვიდრე კარფურში. ასევე ვერ გავიგეთ, რატომ აიკრძალა საკურიერო მომსახურება. მაგალითად, საკვების მიტანა არ არის აკრძალული და სხვა ნივთის მიტანა აკრძალულია. თუ ერთგან არის პრობლემა, რომ შესაძლოა, ვირუსის გამავრცელებელი იყოს, რატომ არ არის, მაგალითად, მეორეგან?! ძალიან ბევრი გაურკვეველი შეზღუდვაა დაწესებული. მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ვემორჩილებით ამ შეზღუდვებს, მაინც გაურკვეველია, ოჯახის წევრებს რატომ არ შეუძლიათ, ერთი ავტომობილით იმგზავრონ. ამან ძალიან ბევრ ოჯახს სერიოზული პრობლემა შეუქმნა. ეს ადამიანები მთელი დღის განმავლობაში რომ ერთ სივრცეში არიან, ერთ ავტომობილში ჩასხდომა რატომ არ შეუძლიათ?! ეს რომ შეჰხებოდა მხოლოდ ტაქსებს, კი ბატონო, ყველანი გავიგებდით.

– ჩვენ მოვისმინეთ ახსნა, რომ გაგვიჭირდება გაკონტროლება, ტაქსია თუ თქვენი კუთვნილი ავტომობილი, შესაძლოა, ტაქსებმა ტრაფარეტი მოხსნანო.

– როდესაც დასჭირდათ, ძალიან მშვენივრად გააკონტროლეს, ვინ ტაქსი იყო და ვინ – არა. ულიცენზიოდ ვერც ერთი ტაქსი ვერ გადაადგილდება. ეს ხომ მშვენივრად გააკონტროლეს! რომ მოენდომებინათ, ამასაც მშვენივრად გააკონტროლებდნენ. ელემენტარულად, საპატრულო პოლიცია ბაზაში გადაამოწმებდა, ესა თუ ის ავტომობილი ლიცენზირებული ტაქსია თუ ოჯახის კუთვნილი ავტომანქანა. ხარვეზი ბევრია, თუმცა ჩვენ ამ ბრძოლაში ერთიანები ვართ. იმისდა მიუხედავად, რომ რაღაცებში არ ვეთანხმებით, ხელისუფლების გადაწყვეტილებებს მაინც ვემორჩილებით, თუმცა, ამავდროულად, საჭიროა კრიტიკაც, რათა უფრო მეტი შეცდომა არ დაუშვან. კარგი იქნება, თუ უფრო ქმედით ნაბიჯებს გადადგამენ. ეს კორონავირუსი დამთავრდება, მაგრამ შემდგომ დაიწყება ეკონომიკური კრიზისი.

– სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით?

– ძალიან სერიოზულის. ფაქტობრივად, გაჩერებულია ჩვენი ეკონომიკა, უძრაობაა. ყველა კომპანია, რომელიც ფუნქციონირებდა ჩვენს ქვეყანაში, არის გაჩერებული, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ პრობლემებს შექმნის. ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, რომ ეკონომიკა თავიდან ავამუშაოთ. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ოპოზიციის რჩევებიც და რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მოქმედება.

„თუ 4 კაცის 1 სახლში ყოფნა შეიძლება, მანქანაში მათი ერთად ჩაჯდომა რატომ არ შეიძლება?!“

დღეს „გირჩი“ „ოცნებას“ საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლებს

„გირჩი“ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში შემოღებულ შეზღუდვებს, მათ შორის საჯარო სივრცეში სამზე მეტი ადამიანის შეკრებას, ერთ ავტომობილში სამზე მეტი ადამიანის ჩაჯდომას, მძღოლის გვერდით დაჯდომას, მარნეულსა და ბოლნისში გამოცხადებული კარანტინის გამო გადაადგილების შეზღუდვასა და ღამის საათებში გადაადგილების აკრძალვას საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს.

პარტიის წევრი, იურისტი ლევან ჯგერენაია აცხადებს, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს შემოღებული ეს შეზღუდვები არაკონსტიტუციური და არაგონივრულია და მათი ნაწილი – მიმოსვლის თავისუფლებას, ნაწილი კი თავისუფალი განვითარების უფლებას ეწინააღმდეგება, რაც ადამიანს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული.

მისივე თქმით, ამ შეზღუდვებს არაფერი აქვს საერთო ვირუსის გავრცელების პრევენციასთან და სინამდვილეში ის სპექტაკლია, რომელიც საარჩევნოდ მოაწყო ხელისუფლებამ.

ის აცხადებს, რომ მიუხედავად საგანგებო მდგომარეობის არსისა და შინაარსისა, შეზღუდვები არ შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი და მათ რაციონალური ახსნა უნდა ჰქონდეს. ჯგერენაიას აზრით, შეზღუდვებისთვის საჭიროა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი, რაც ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ჯანდაცვა შეიძლება იყოს და აუცილებლად უნდა იყოს დაცული პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპი, რისი ვალდებულებაც აქვს სახელმწიფოს.

– ხელისუფლების მიერ გამოყენებული ზომები არაგონივრულია და მოკლებულია საღ აზრს. მაგალითად: ოჯახის წევრებს, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთ ჭერქვეშ, ერთად სადილობენ, ვუკრძალავთ საჯარო სივრცეში ერთად შეკრებასა და გადაადგილებასაც კი. თუ ხელისუფლება თვლის, რომ საჯარო, ღია სივრცეში სამ ადამიანზე მეტის შეკრება აუცილებლად საფრთხის შემცველია, მაშინ ის მით უმეტეს საფრთხის შემცველია სახლში, გადახურულ სივრცეში და ხომ არ შევუვარდებით ოჯახებში ადამიანებს და განვაცალკევებთ ერთმანეთისგან? – ამბობს ჯგერენაია.

მისივე თქმით, დაუსაბუთებელია, რატომ არის ავტომობილში წინ ჯდომა საფრთხის შემცველი, როცა უკან ორი ადამიანის ჯდომა არ ითვლება ასეთად, ან საღამოს გადაადგილებას რა კავშირი აქვს ვირუსის გავრცელებასთან.

მისივე განცხადებით, ერთ-ერთი მოსარჩელე, რომლის სახელითაც „გირჩს“ სარჩელი შეაქვს, სწორედ იმის გამო დააჯარიმეს, რომ მანქანაში საკუთარი შვილი გვერდით ეჯდა. მძღოლი 3.000 ლარით დააჯარიმეს, მიუხედავად იმისა, რომ გვერდით მჯდომი შვილი მასთან ერთად, ერთ სახლში ცხოვრობს.

– საგანგებო მდგომარეობა არ აძლევს ხელისუფლებას იმის უფლებას, რომ სრულად გავიდეს კონსტიტუციური ჩარჩოებიდან და უგულებელყოს ადამიანების კონსტიტუციით დაცული უფლებები. ნებისმიერი შეზღუდვა, რომელსაც ხელისუფლება იყენებს, უნდა იყოს იმ ლეგიტიმური მიზნის პროპორციული, რომლის მისაღწევადაც გამოიყენება.

ასევე, უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და აღწევდეს დასახულ მიზანს. თუ შემზღუდავი წესების ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება, ის არაკონსტიტუციურია, რაც არაერთხელ უთქვამს საკონსტიტუციო სასამართლოს, – აცხადებს ჯგერენაია.

„გირჩი“ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს დღეს, 13 აპრილს, შეიტანს.

პროკურატურამ ა.ს.-ს მიმართ, რომელსაც ძაღლის მე-12 სართულიდან გადაგდება ჰბრალდება, სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა

ცხოველის მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობის ფაქტზე დაკავებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. „ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, აპირებს თუ არა პროკურატურა ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტზე დაკავებული პირისთვის სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილის შეფარდების გაასაჩივრებას, უწყებაში პასუხობენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე გასაჩივრდა.

– ბორჯომში ცხოველის მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობის ფაქტზე დაკავებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიებაზე პროკურატურამ გაასაჩივრა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 6 აპრილს, დაახლოებით 20:30 საათზე, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ა.ს.-მ ქ.ბორჯომში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მე-12 სართულის სადარბაზოდან უმიზეზოდ გადააგდო ქ.თ.-ს კუთვნილი ძაღლი, რის შედეგად ცხოველმა მიიღო დაზიანებები.

სამართალდამცველებმა ა.ს. 2020 წლის 8 აპრილს დააკავეს. ა.ს.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დასახიჩრება გამოიწვია) წარედგინა. ა.ს.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება, სასჯელის სახედ და ზომად ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

2020 წლის 10 აპრილს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბრალდებულ ა.ს.-თვის აღკვეთის ღონისძიების სახით 5.000-ლარიანი გირაოს შეფარდება და გირაოს უზრუნველყოფამდე პატიმრობა. სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილი შეუფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურატურამ საგაპელაციო ინსტანციაში გაასაჩივრა, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

პროკურატურაში ასევე განმარტავენ, რომ აღნიშნული დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, მაქსიმალურად ეცდებიან მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა განახორციელონ მსგავსი კატეგორიის დანაშაულზე. ამასთან, პროკურატურა გეგმავს ცხოველთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის გამკაცრების მიმართულებით პარლამენტთან მუშაობას.

სალომე სამადაშვილმა გიორგი გახარიასა და ნათია თურნავას პროკურატურაში უჩივლა

ნაციონალური მოძრაობის წევრ სალომე სამადაშვილის განცხადებით, პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები თანამდებობას ბოროტად იყენებენ, როდესაც უცხოეთში დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს უგულებელყოფენ.

სალომე სამადაშვილმა მთავარ პროკურატურას 11 აპრილს განცხადებით მიმართა.

– როდესაც ხელისუფლების ნებართვის გარეშე აკრძალულია ყველანაირი მიმოსვლა ქვეყანაში, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო, ხელისუფლება ცინიკურად აცხადებს, რომ მათ ეს საკითხი არ ეხებათ და უკვე მეორე კვირაა, იგნორირებას უკეთებს ჩვენს თხოვნას თანამშრომლობის შესახებ, ეს არის არა მარტო ამორალური საქციელი, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება შესაბამის კანონმდებლობას და ატარებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნიშნებს, იმიტომ, რომ დღეს პრემიერ-მინისტრი გახარია, ეკონომიკის მინისტრი თურნავა და სხვები, ფაქტობრივად, ბოროტად იყენებენ თანამდებობას და უგულებელყოფენ საკუთარი თანამოქალაქეების ინტერესებს. ამიტომ ჩვენ დღეს შევდივართ პროკურატურაში შესაბამისი მოთხოვნით, რომ აღიძრას საქმე, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

პოლიცია ქობულეთისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებში სპეციალური საკარანტინო რეჟიმის აღსრულებას უზრუნველყოფს

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში – გვარა, მუხაესტატე, ლეღვა, წყავროკა, ასევე, ლენტეხის მუნიციპალიტეტში მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები დაწესდა. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებულ მკაცრ საკარანტინო შეზღუდვებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ადმინისტრაციულ ერთეულებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფენ.

საკარანტინო პირობები და სპეციალური რეჟიმი ქობულეთისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქალაქეთა შესვლისა და გამოსვლის შეზღუდვასაც ითვალისწინებს. გვარას, მუხაესტატეს, ლეღვას, წყავროკას და ლენტეხის შემსვლელ და გამსვლელ საგანგებოდ მოწყობილ სპეციალურ გამშვებ პუნქტებზე კონტროლს პოლიცია და თავდაცვის ძალები ახორციელებენ.

გარდა ამისა, როგორც საკარანტინო ზონებში, ასევე სპეციალურ გამშვებ პუნქტებზე ხდება მოქალაქეთა პირველადი თერმოსკრინინგი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობას საკარანტინო შეზღუდვებს განუმარტავენ და საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად ეხმარებიან.

საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებულ მკაცრ საკარანტინო შეზღუდვებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას პოლიცია ქობულეთის, მარნეულის, ბოლნისისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში უზრუნველყოფს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენმა მთის მოსახლეობას აუცილებელი პროდუქტები ჩაუტანა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენმა თუშეთის მიმართულებით გეგმური რეისი შეასრულა. მესაზღვრეების როტაციისა და მათთვის აუცილებელი ტვირთის ტრანსპორტირების გარდა, სასაზღვრო ავიაცია ადგილობრივ მოსახლეობასაც მოემსახურა.

სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით კახეთის რწმუნებულმა ირაკლი ქადაგიშვილმა თუშეთის სოფლების 25-მდე ოჯახს ძირითადი მოხმარების საკვები პროდუქტები ჩაუტანა.

სასაზღვრო ავიაციის გეგმური რეისი ხევსურეთის მიმართულებითაც შესრულდა. მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა შალვა კერესელიძემ პირიქითა ხევსურეთის სოფლებში მცხოვრებ 50-მდე ოჯახს პროდუქტები და პირველადი საჭიროების ნივთები ჩაუტანა.

რთული გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური პირობების გამო, თუშეთის, შატილისა და არხოტის სოფლები გარესამყაროს ჯერ კიდევ მოწყვეტილია და მოსახლეობასთან კომუნიკაცია სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის საშუალებით ხდება.

საქართველოს სანაპირო დაცვისა და ნატოს ხომალდების ერთობლივი წვრთნები ჩატარდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისა და ნატოს ხომალდებმა შავ ზღვაში ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩაატარეს.

სწავლება ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) საპორტო ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა.

ერთობლივ საზღვაო მანევრებში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აილენდის კლასის 2 ხომალდი – „დიოსკურია“ და „ოჩამჩირე“ და ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის 5 ხომალდი: ITS VIRGINIO FASAN (იტალია), HMCS FREDERICTON (კანადა), ROS REGINA MARIA (რუმინეთი) და BGS VERNI (ბულგარეთი) და TCG SALIHREIS (თურქეთი).

წვრთნების მიზანია ნატო-სა და საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლება.

შენაერთის ვიზიტი საქართველოში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით განხორციელდა. ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, არ ჩატარებულა საჯარო და კულტურული ღონისძიებები. შეხვედრები გაიმართა დისტანციურად, ვიდეოკონფერენციის ფორმატში. ერთობლივი წვრთნები არ ითვალისწინებდა ეკიპაჟების ურთიერთქმედებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 178 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 178 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 11 აპრილის 21 საათიდან 12 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 94 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვისა და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო სულ 60 მოქალაქე დააჯარიმა.

პოლიცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განაგრძობს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად თვითიზოლაციის წესების დარღვევის 5 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 19 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

აშშ-ის ყველა შტატი უბედურების ზონად გამოცხადდა

კორონავირუსის გავრცელების გამო აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ვაიომინგის შტატის უბედურების ზონად გამოცხადების გადაწყვეტილება დაამტკიცა, რაც ნიშნავს, რომ აშშ-ის ისტორიაში პირველად ყველა შტატი უკვე ერთდროულად მოექცა უბედურების ზონის ფარგლებში.

თეთრი სახლის ინფორმაციით, უბედურების ზონად გამოცხადების შემთხვევაში შტატებსა და ადგილობრივ მთავრობებს, ასევე არაკომერციულ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ, ფედერალური დაფინანსება მიიღონ.

შტატის მთავრობებს, ასევე, დაეხმარებიან ფედერალური რესურსებით, როგორებიც არის საგანგებო სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტო და არმიის საინჟინრო კორპუსი.

გადაწყვეტილება ქვეყანაში მას შემდეგ მიიღეს, რაც გარდაცვლილთა რიცხვმა 20.000-ს გადააჭარბა, ხოლო ინფიცირებულთა რაოდენობამ – ნახევარ მილიონს.

ბორის ჯონსონი კლინიკიდან გაწერეს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი კლინიკიდან გაწერეს.

კოვიდ 19-ით ინფიცირებული პრემიერი თავს კარგად გრძნობს, თუმცა უფლებამოსილების განხორციელებას ჯერჯერობით არ დაუბრუნდება.

ბორის ჯონსონს კორონავირუსი 27 მარტს დაუდგინდა. მოგვიანებით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პრემიერმა ინტენსიური თერაპიის განყოფილება 10 აპრილს დატოვა.

ამერიკელი გენერალი თალიბანს შეხვდა

ავღანეთში მყოფი ამერიკული არმიის სარდალი, გენერალი მილერი, მოძრაობა თალიბანის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბარი ავღანეთში შექმნილ მდგომარეობის გარშემო წარიმართა.

გენერალმა მილერმა განაცხადა, რომ ამერიკული ჯარის გაყვანა ავღანეთიდან მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იქ მკვეთრად შემცირდება ძალადობა.

საბოლოოდ ორივე მხარე შეთანხმდა, რომ განხორციელდება რიგი ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ავღანეთში ძალადობის შემცირებას.

სპილოებმა წყალსატევში ჩავარდნილი სპლიყვი გადაარჩინეს

ინდოეთის ტამილნადის შტატში სპილოები სამი საათის განმავლობაში ცდილობდნენ ხელოვნურ წყალსატევში ჩავარდნილი სპლიყვის გადარჩენას.

ინციდენტი კვირას, 5 აპრილს მოხდა. სპლიყვს, რომელიც წყლის დალევას ცდილობდა, შემთხვევით მეორე ცხოველი დაეჯახა. სატყეო სამსახურის თანამშრომლებმა სატვირთო მანქანით ადგილზე სამაშველო მოსწყობილობა მიიტანეს, სპლიყვის წყალსატევიდან ამოსაყვანად, თუმცა სპილოების ჯოგმა ისინი ახლოს არ მიუშვა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ ეხმარებიან მოზრდილი თანამომძეები სპლიყვს წყალსატევიდან თავის დაღწევაში.

მეტყევეების თქმით, სპილოები დაახლოებით სამი საათის განმავლობაში ცდილობდნენ სპლიყვის წყალსატევიდან ამოყვანას. საბოლოოდ მათ ეს მოახერხეს. გადარჩენილი ცხოველის მდგომარეობის შესახებ არაფერია ცნობილი.

მოსკოვში ეკლესიაში ყოფნისთვის მრევლი დააჯარიმეს

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში უკმაყოფილება გამოთქვეს გავრცელებული ინფორმაციის გამო, რომლის მიხედვითაც, მოსკოვში კვირას მრევლის წევრები ეკლესიაში ყოფნისთვის აკრძალვის ამოქმედებამდე ერთი დღით ადრე დააჯარიმეს.

ამის შესახებ სოციალურ ქსელში მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხებში სინოდალური განყოფილების ხელმძღვანელი ვლადიმერ ლეგოიდა წერს.

საპატრიარქოს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია თუ დადასტურდა, სერიოზულ კითხვებს გამოიწვევს.

მისი თქმით, მთავარი სანიტარიული ექიმის მითითება ღვთისმსახურების მრევლის გარეშე ჩატარების შესახებ ძალაში მხოლოდ 13 აპრილიდან შედის.

შაბათს რუსეთის საპატრიარქომ, ქვეყნის მთავარი სანიტარიული ექიმის მოთხოვნით, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სასულიერო პირებს ურჩია, 13-დან 19 აპრილამდე ღვთისმსახურებები მრევლის დაუსწრებლად ჩაატარონ.

მსახურებებზე დასწრება სასულიერო პირებთან ერთად შეეძლებათ პირებს, რომელთა დასწრება აუცილებელია ღვთისმსახურებისა და საკულტო შენობების ფუნქციონირებისთვის, ასევე მათთვის, ვინც უნდა განახორციელოს ღვთისმსახურების პირდაპირი ტრანსლირება.

ჯანყი ირკუტსკის კოლონიაში

ირკუტსკის მე– 5 კოლონიაში, სადაც განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმია, პატიმრები აჯანყდნენ. მიზეზი ზედამხედველთა მიერ სისტემატური შევიწროება იყო.

პატიმრებმა რამდენიმე სართული დაიკავეს. ხელისუფლებამ სპეცრაზმი გამოიყვანა.

პატიმართა და სპეცრაზმის წევრთა შორის შეტაკება იმდენად მძაფრი იყო, რომ რამდენიმე სართულს ცეცხლი წაეკიდა.

ჯანყი ჩახშობილ იქნა. უამრავი პატიმარი სასტიკად არის ნაცემი და დასახიჩრებული.

ოფიციალურად დადასტურებულია, რომ 2 ადამიანი დაიღუპა. თავად პატიმრები ამტკიცებენ, რომ მსხვერპლი გაცილებით მეტია.

ტერიტორიისთვის ვეფხვებმა გააფთრებული ორთაბრძოლა გამართეს

ინდოეთის მახარაშტრას შტატში მდებარე ვეფხვების ნაკრძალ კანხაში ორი ვეფხვი ერთმანეთს ტერიტორიის გასაყოფად დაუპირისპირდა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გაავრცელა.

ინდოეთის სატყეო სამსახურის თანამშრომელმა პარვინ კასვანმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც ტერიტორიის დაპატრონებისთვის ორი ვეფხვის გააფთრებული ორთაბრძოლაა აღბეჭდილი. ცხოველები ერთმანეთს თავდაუზოგავად ებრძოდნენ პარკის დამთვალიერებლების თვალწინ.

კასვანის განმარტებით, ვიდეო მას გამოუგზავნეს. ვეფხვები თავგამოდებით იცავენ საკუთარ ტერიტორიას და ასეთ დროს შესაძლოა უკიდურესი აგრესიულობა გამოავლინონ სხვა თანამოძმის მიმართ. ხვადი ვეფხვის ტერიტორია 60-დან 100 კვადრატულ კილომეტრამდე ფართობს მოიცავს.

აღნიშნულმა ვიდეომ 47 ათასზე მეტი ნახვა და 3,6 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

ინგუშეთის მუფტი კორონავირუსით გარდაიცვალა

ინგუშეთის სულიერი ლიდერი მუფტი აბდულაჰმან მარტაზაბოვი გარდაიცვალა.

მედიის ცნობით, კორონავირუსით დაავადებული მუფტი ჰოსპიტალიზებულ იქნა. ექიმები მის გადარჩენას ცდილობდნენ, მაგრამ – ამაოდ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კარანტინის დამრღვევს ქუჩაში მარტორქა გამოეკიდა

ნეპალში ეროვნული პარკის ჩიტვანის მახლობლად მარტორქა მამაკაცს გამოეკიდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ინდურმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინდოეთის სატყეო მეურნეობის სამსახურის თანამშრომელმა პარვინ კასვანმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ჩანს, თუ როგორ დადის ქალაქის ქუცაში მარტორქა და შემდეგ გამვლელს გამოეკიდება.

ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების საფრთხესთან დაკავშირებით მკაცრი იზოლაციაა გამოცხადებული, დაკეტილია მაღაზიები და ბაზრები, მოსახლეობა გაფრთხილებულია, რომ უკიდურესი საჭიროების გარეშე ქუჩაში არ გამოვიდნენ. ვიდეოზე ასევე ჩანს, რომ ქუჩაში სულ რამდენიმე ადამიანი იმყოფება.

მარტორქა ქუჩაში მიმავალ მამაკაცს გამოუდგა, დაეწია, მაგრამ სწრაფად დაკარგა მის მიმართ ინტერესი და, უბრალოდ, გზა გააგრძელა.

აღსანიშნავია, რომ ჩიტვანის პარკში მარტორქების დიდი პოპულაცია ბინადრობს და ისინი ხშირად ტყიდან გამოდიან.

– ამ მარტორქამ სიტუაციით ისარგებლა და ინსპექტირებაზე გამოვიდა, – დაწერა კომენტარში კასვანმა.

ეროვნულ პარკში გზააბნეული წყვილი სოციალურ ქსელში დაცინვის ობიექტად იქცა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის გარეუბნის მკვიდრ წყვილს ეროვნულ პარკ კუ-რინგ-გაი ჩეიზში გზა აებნა და მათი შვეულმფრენით ევაკუირება გახდა აუცილებელი.

34 წლის მამაკაცი და 27 წლის ქალი ეროვნულ პარკში სეირნობდნენ, რა დროსაც ბილიკს ასცდნენ და გზა აებნათ. პოლიციამ წყვილის ადგილსამყოფლის დადგენა შეძლო და მათი გამოყვანა შვეულმფრენის დახმარებით მოახერხა, რომელშიც ქალი და მამაკაცი თოკებით აიყვანეს.

გზააბნეული წყვილი სოციალურ ქსელებში დაცინვის ობიექტად იქცა. ზოგიერთმა ინტერნეტმოხმარებელმა გამოთქვა აზრი, რომ ჩატარებული სამაშველო ოპერაცია ექსტრემალური სამსახურის ძვირფასი ძალების ფუჭი ხარჯვა იყო, სხვებმა კი გაკვირვება ვერ დამალეს იმის გამო, თუ როგორ მოახერხა წყვილმა, გზა აჰბნეოდათ პარკში, სადაც უამრავი ბილიკი და პლაჟია.

კორონავირუსის დამმარცხებელმა 99 წლის ქალმა გამოჯანმრთელება ტკბილეულის სიყვარულს დააბრალა

99 წლის ბრიტანელი ქალბატონი კორონავირუსისგან ხუთ დღეში განიკურნა და ხუმრობით გამოჯანმრთელების საიდუმლოდ ტკბილეულის სიყვარული დაასახელა.

მარტის ბოლოს 99 წლის ქალბატონის რიტა რეინოლდსის მომვლელმა შენიშნა, რომ მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფმა მადა დაკარგა, დაეწყო სუნთქვის პრობლემები და სისუსტე. მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ექიმებმა მოხუცებული გასინჯეს და განაცხადეს, რომ მას კორონავირუსის ინფექცია ჰქონდა. მათ რეინოლდსის ნათესავებს განუცხადეს, რომ ყველაზე უარესისთვის მომზადებულიყვნენ, ვინაიდან მათი თქმით, ქალს სულ რამდენიმე დღის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი.

ასაკიდან გამომდინარე რეინოლდს სახლში მკურნალობის ნებართვა მისცეს და წამლები გამოუწერეს. ხანდაზმული ქალის დამწუხრებული ნათესავები ხშირად აკითხავდნენ ავადმყოფს, რათა მისთვის სიცოცხლის ბოლო დღეები ამით მაინც შეემსუბუქებინათ.

თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ, ქალისთვის ჩატარებული გეგმიური გამოკვლევისას ექიმებმა განაცხადეს, რომ ის კორონავირუსის ინფექციისგან სრულიად იყო განკურნებული. ქალის ნათესავები მისმა ასეთმა სწრაფად გამოჯანმრთელებამ გააოცა, ხოლო მისმა ერთ-ერთმა შვილიშვილმა ჰენრი ფილიპსმა ხუმრობით განაცხადა, მისთვის საუკეთესო წამალი ტკბილეული იყოო. შვილიშვილის თქმით, მისი ბებია უკვე მრავალი წელია ყოველდღე ტკბილეულს მიირთმევს, განსაკუთრებით კი შოკოლადი, ორცხობილა და ჯემიანი გახუხული პურები უყვარს.

კლდეზე დაკიდებული მამაკაცი ქამრების დახმარებით გადაარჩინეს

ინგლისის კენტის საგრაფოში პოლიციელებმა კლდის შვერილზე ჩამოკიდებული მამაკაცი ქამრების დახმარებით გადაარჩინეს. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

აღნიშნული ინციდენტი მარტის ბოლოს მოხდა. პოლიციელები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ და 15 მეტრის სიმაღლის კლდის შვერილზე ჩამოკიდებული მამაკაცი აღმოაჩინეს. სამი პოლიციელი კლდის წვერზე დარჩა მამაკაცის დასამშვიდებლად და მის გადასარჩენად, ხოლო ოთხი ქვევით ჩავიდა, რათა ჩავარდნის შემთხვევაში მისთვის პირველადი დახმარება გაეწიათ. პოლიციელებმა სასწრაფოდ მოიხსნეს ქამრები და ერთმანეთზე გადააბეს. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი კლდის შვერილზე გადაწვა და გადაბმული ქამრები მამაკაცს გაუწოდა. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ მისი ქვევით ჩავარდნა არ დაეშვათ, თუმცა სამართალდამცავებს მისი ზევით ამოყვანა ამით არ შეეძლოთ. ამავე დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა იქვე ახლოს მდებარე სახლში მიირბინა, საიდანაც თოკი წამოიღო მამაკაცის ამოსაყვანად.

როგორც კი მამაკაცის ამოყვანა მოხერხდა, ის ექიმებსა და ფსიქოლოგებს გადასცეს მისახედად. კენტის საგრაფოს საოლქო კომენდატურის მთავარმა ინსპექტორმა ნილ ლოუდონმა ხელქვეითები შეაქო საზრიანობის და სწრაფი მოქმედების შედეგად ადამიანის გადარჩენისთვის.

პერის ჰილტონი პოპულარული ჟურნალისთვის გაშიშვლდა

მსახიობმა და ჰილტონის სასტუმროების იმპერიის ყოფილმა მემკვიდრემ პერის ჰილტონმა მონაწილეობა მიიღო ჟურნალ Rollacoaster-ისთვის გამართულ ეროტიკულ ფოტოსესიაში.

ერთ-ერთ კადრში 39 წლის ჰილტონი პალმებს შორის წელსზევით შიშველი პოზირებს, მკერდზე კი ხელი აქვს აფარებული. მას აცვია მაღალწელიანი შავი შორტები ყვავილების ჩანართით, ასევე – ნახევრად გამჭვირვალე ორნამენტიანი რეიტუზი და იმავე ქსოვილისგან დამზადებული ხელთათმანები.

ინტერვიუში ჰილტონმა განაცხადა, რომ თავს ყოველთვის ინოვატორად მიიჩნევდა როგორც მოდის სფეროში, ასევე – პირად ცხოვრებაში.

– ადრე ხშირად ისეთ ტანსაცმელს ვიცვამდი, რომლებსაც სხვა არავინ ატარებდა. სხვათა შორის, არ მყოლია სტილისტი, ყველაფერს თავად ვაკეთებდი, – აღნიშნა პერის ჰილტონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცოლის გარდაცვალების თარიღმა მამაკაცი გაამდიდრა



ამერიკის ნებრასკას შტატის ქალაქ კიმბალის მკვიდრმა ლატარიის გათამაშებაში მეუღლის დაბადების და გარდაცვალების თარიღები გამოიყენა და მსხვილი თანხის მფლობელი გახდა.

ბრაიან პირსონმა ადგილობრივ მაღაზიაში ლატარიის ბილეთი შეიძინა, რომელშიც რიცხვების შემდეგი კომბინაცია მიუთითა: 04-07-11-13-29. მამაკაცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ რიცხვებს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისინი მისი მეუღლის დაბადების და გარდაცვალების თარიღებია.

– ის ჩემი მფარველი ანგელოზია, – აღნიშნა ქვრივმა მამაკაცმა.

პირსონმა მარტის ბოლოს ლატარიის გათამაშების შედეგები შეამოწმა და შეიტყო, რომ მის მიერ არჩეულმა რიცხვების კომბინაციამ მას 280 ათასი დოლარი მოაგებინა. აღსანიშნავია, რომ იღბლიანმა ამერიკელმა რამდენიმე წლის წინაც მოიგო სოლიდური თანხა ლატარიაში. მაშინ მისმა მოგებამ 25 ათასი დოლარი შეადგინა.

ლატარიის გამარჯვებულს არ დაუკონკრეტებია, თუ რაში აპირებს მოგებული ფულის დახარჯვას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

გიორგი შერმადინმა მედალი აუქციონზე გაიტანა და პურს უფასოდ არიგებს

ქართველი კალათბურთელი გიორგი შერმადინი წელს საოცარ ფორმაშია. ჩვენებური ესპანეთის ჩემპიონატსა თუ ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე დომინანტობს. მისი შეჩერება მიმდინარე სეზონში მხოლოდ პანდემიამ მოახერხა, რომლის გამოც სეზონი გაჩერებულია და კალათბურთელებს მოედანზე გასვლა არ უწევთ.

შერმადინიც, ისევე, როგორც მისი ტენერიფელი გუნდელები და, ზოგადად, სპორტის სამყაროს თითქმის ყველა წარმომადგენელი, იზოლაციაშია და სახლის პირობებში ცდილობს ფორმის შენარჩუნებას. გიორგი სისტემატურად ეხმიანება საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელებს, ხოლო ტენერიფელი ფიზმომზადების მწვრთნელისგან ყოველდღიურად იღებს სავარჯიშო ინსტრუქციას. ესპანეთის ჩემპიონატის ბედი ჯერაც გაურკვეველია და შერმადინი მოთმინებით ელოდება კორონავირუსის გამო შექმნილი ვითარების დასტაბილურებას.

ესპანეთში ძალა მოიკრიბა საქველმოქმედო აქციამ, რომელშიც ცნობილი სპორტსმენები და ხელოვნების წარმომადგენლები არიან ჩაბმულნი. აქციაში შერმადინიც ჩაერთო და აუქციონზე მისთვის საკმაოდ ძვირფასი ნივთი გაიტანა: ფიბას საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებულისთვის კუთვნილი ოქროს მედალი.

ქართველი კალათბურთელის მედალი უკვე განთავსებულია აუქციონზე და მისი საწყისი ფასი 235.50 ევროა.

აღნიშნულ ფონდში უკვე შეგროვებულია 143.000 ევრო. ამ დროისთვის ყველაზე ძვირად რაფაელ ნადალის მაისური (20.500) გაიყიდა. აუქციონისთვის ნივთები გაიღეს ხუან კარლოს ნავარომ, სერხიო ლულმა, სერხიო სკარიოლომ, რუდი ფერნანდესმა, პაუ გასოლმა, პაბლო ლასომ, ფელიპე რეიესმა და სხვებმა.

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ტენერიფე იბეროსტარის ლიდერი ქართველ ექიმებსა და პანდემიასთან მებრძოლ ყველა ადამიანს მადლობას უხდის. მან გაიხსენა ეროვნული ნაკრების სერბეთთან გამარჯვება და ეს ყველაფერი კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა...

– როგორია ტენერიფე იბეროსტარის პოზიცია მსოფლიო პანდემიასთან ბრძოლაში?

– ბოლო მატჩი ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაზე 10 მარტს ბელგიაში, ოსტენდესთან ვითამაშეთ. იქიდან ტენერიფეში რომ დავბრუნდით, მომდევნო დღეს დაგვიბარეს დარბაზში. მანამდე, როგორც ჩანს, ესპანეთის ლიგის ხელმძღვანელობას ჩემპიონატის შეჩერებასთან დაკავშირებით გუნდების ხელმძღვანელებთან კომუნიკაცია ჰქონდა და უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომელიც შეხვედრაზე გაგვაცნეს. გუნდის მწვრთნელმა გვითხრა, რომ საფრთხე სერიოზულია და ცოტა ხნით, დაახლოებით 2 კვირით, ვაჩერებთ როგორც ვარჯიშებს, ასევე ჩემპიონატის თამაშებს.

ყველანი უნდა დავრჩენილიყავით იზოლაციაში და არ გვქონოდა პირადი კონტაქტები არც გუნდელებთან და არც სხვებთან. გვითხრეს, რომ მალევე, დაახლოებით 2 კვირაში დავუბრუნდებოდით ჩვეულ სავარჯიშო რიტმს, მაგრამ იმის მერე გავიდა 1 თვე და ისევ იზოლაციაში ვრჩებით. გუნდის ხელმძღვანელობა არაფერს, უფრო სწორად კი ვერაფერს ამბობს იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც ხდება ესპანეთში და, ზოგადად, მსოფლიოში. არ ვიცი, რა იქნება, გაგრძელდება ვარჯიშები თუ სეზონი დასრულებულად გამოცხადდება, ამას ალბათ მალე გავიგებთ.

– შეწყვეტილი ვარჯიშების შედეგად არ გიჭირთ იზოლაციასთან შეგუება?

– წარმოიდგინე, რა რთულია, ასე უცებ, ინტენსიური ვარჯიშებისა და თამაშების შემდეგ გვეუბნებიან – მორჩა, უნდა ისხდეთ სახლში. არა მარტო მე, ყველა ჩემი გუნდელი და, ზოგადად, სპორტსმენი ასეთი რთული რეალობის წინაშე აღმოჩნდა და მოგვიწია სახლში გამოკეტვა. ძალიან რთული იყო საწყისი დღეები – ასე აბსოლუტური უვარჯიშებლობის გამო ამტკივდა კუნთები, წელი, მუხლები, თუმცა რამდენიმე დღეში შეძლებისდაგვარად დარეგულირდა სიტუაცია. დავიწყე ვარჯიში, დარბაზიდან მომიტანეს ტრენაჟორი, ველოსიპედი და ასევე ტენერიფეს ფიზმომზადების მწვრთნელმა ყოველდღიურად დაიწყო ვიდეოვარჯიშების გამოგზავნა. ნელა-ნელა შევეგუე ასეთ ვარჯიშებს და უმოქმედობით გამოწვეული ტკივილებიც უკან მოვიტოვე.

– ასეთი ყოველდღიურობა ძალიან ერთფეროვანია?

– ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს. ვარჯიშის გარდა რა უნდა გავაკეთო? მე და ჩემი მეუღლე სახლში ვართ ბავშვებთან ერთად, მერე გავდივართ გარეთ, პატარა ბაღი გვაქვს და ვცდილობთ, იზოლაცია გავიმრავალფეროვნოთ. ძალიან გვეხმარებიან ჩემი მეუღლის, ანას დედა, რომელიც ჩვენთან არის და, რა თქმა უნდა, ბავშვების ძიძა. სიმართლე გითხრათ, თავიდან კარგა ხანი არ იყო ამინდები და ბოლო რამდენიმე დღეა, ძალიან დაცხა, რის გამოც უმეტესად ეზოში, ჰაერზე ვართ. ვერთობით სხვადასხვა თამაშით, ბავშვები სწავლობენ და ვართ ასე, როგორც ყველა იზოლაციაში მყოფი ოჯახი.

– ანუ ჯერ მხოლოდ ვირტუალური ვარჯიშები გაქვთ.

– მართლა კარგი გუნდი გვყავს, ძალიან კარგი ბიჭები არიან. საშუ სალინი და დანი დიეზი შარშანაც ჩემს გუნდში იყვნენ და მათთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს. ტენერიფეს სოციალურ ქსელში ჯგუფი აქვს, სადაც ასევე გუნდის ექიმები, მწვრთნელები, ხელმძღვანელები არიან და ყოველდღიურად ვკონტაქტობთ, თუმცა უშუალოდ მოთამაშეებს ცალკე ჯგუფი გვაქვს შექმნილი, სადაც უფრო ხშირად ვკითხულობთ

ერთმანეთის ამბებს. მისვლა-მოსვლა გამორიცხულია. ისევე, როგორც მე, ყველა იცავს იზოლაციის წესს და სახლის ტერიტორიას არ ტოვებენ. ყველას იმის იმედი გვაქვს, რომ მალე დავუბრუნდებით ჩვენს საყვარელ საქმიანობას.

– საქართველოს ნაკრების წევრებთან თუ გაქვს კომუნიკაცია?

– საქართველოს ნაკრების წევრებთანაც თითქმის ყოველდღიური ურთიერთობები მაქვს. ესპანეთში მყოფებს – მე, თორნიკე შენგელიას, ბექა ბურჯანაძეს, რომლებიც ერთ ლიგაში ვართ, უფრო ხშირად გვიწევს კომუნიკაცია, თუმცა ნაკრების ყველა წევრთან მაქვს კონტაქტი. განხილვის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, არსებული სიტუაციაა: გვეღირსება ვარჯიშისა და თამაშის გაგრძელება? დავამარცხებთ ამ ვირუსს? ყველა იმედიანად არის. სხვა გზა არც არსებობს.

– როგორც ვიცით, პანდემიის დროს ოჯახთან ერთად ქველმოქმედებასაც ეწევი.

– ქვეყანაში შექმნილი რთული სიტუაციის გამო გვინდოდა, ხალხს რამენაირად დავხმარებოდით. მე და ჩემმა ძმამ ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ნატახტარში, სადაც სოსოს საოჯახო თონე აქვს, ჩვენს თანასოფლელებზე პერიოდულად პურს უფასოდ დაარიგებდა. პლუს ყველაზე, ვინც თონეში მოვიდოდა. ძალიან ბევრი მადლობა მივიღეთ, თუმცა, მთავარი ის არის, რომ იმ ოჯახებს ნაწილობრივ შევუმსუბუქეთ ყოფა, რომლებსაც უჭირთ. ამ პროცესს ჩემი ძმა უძღვება და კიდევ გეგმავს დღეებს, როცა ნატახტრის თონიდან პურს უფასოდ დაარიგებს.

– როგორც ჩანს, საქართველოში მიმდინარე მოვლენების კურსის ეპიცენტრში ხარ.

– დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ ექიმებს, რომლებიც გმირულად ებრძვიან ამ დაავადებას. მათი და სახელმწიფო სამსახურების, მთავრობის კოორდინირებული მუშაობის შედეგია, რომ ვირუსი საქართველოში ისე ელვისებურად არ ვრცელდება, როგორც ევროპის წამყვან ქვეყნებში და რომ ჩვენი ქვეყანა კორონავირუსთან ბრძოლაში მსოფლიოში მოწინავე პოზიციაზეა.

იმედი მაქვს, საქართველოს მოსახლეობა კვლავ გააგრძელებს იმ რეკომენდაციების დაცვას, რომლებსაც ჯანდაცვის სამინისტრო და შესაბამისი სამსახურები გასცემენ და ძალიან მალე მოვახერხებთ ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნებას. მიხარია, რომ საქართველოში გრძელდება სტრატეგიული სამშენებლო სამუშაოები, რომელთა რიცხვში ის დარბაზიც შედის, რომელშიც ევროპის ჩემპიონატის თამაშები უნდა გაიმართოს. მადლობა მშენებლებსა და ყველა იმ ორგანიზაციასა თუ სამსახურს, რომლებიც ევრობასკეტისთვის ახალი დარბაზის მშენებლობისთვის ყველაფერს აკეთებენ.

– ევრობასკეტი საქართველოში უნდა გაიმართოს.

– ძალიან ვამაყობ, რომ ყველა იმ ევროპის ჩემპიონატზე მითამაშია, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მიიღო. აქამდე 4-ჯერ გავედით ევრობასკეტზე და ბედნიერი ვარ, რომ მეხუთე ჯერზე სამშობლოში, თბილისში ვითამაშებთ. ეს არის ისტორიული მოვლენა ჩვენი ქვეყნისთვის და ძალიან მაგარი შანსი, ყველა ის შედეგი გავაუმჯობესოთ, რისთვისაც აქამდე საერთაშორისო სარბიელზე მიგვიღწევია. წარმომიდგენია, რამდენ გულშემატკივარს სურდა, გვერდში დაგვდგომოდა და ამას ვერ ახერხებდა, როცა საქართველოს ნაკრები ევრობასკეტზე სათამაშოდ ლიეტუვაში, სლოვენიაში, ხორვატიაში, ისრაელში მიემგზავრებოდა. ახლა კი არსად არ მივდივართ და ჯგუფური ეტაპის თამაშებს თბილისში ჩავატარებთ, რაც იქნება დიდი ზეიმი ყველა გულშემატკივრისა და მთლიანად საქართველოსთვის.

– მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს დაბეჭდული აქვს ევრობასკეტზე გასვლა, მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპზე მაინც მონაწილეობს, ამასთან – წარმატებით.

– დიახ, მასპინძლის სტატუსის გამო ევრობასკეტის საგზური განაღდებული გვაქვს, მაგრამ ჩვენი ნაკრები მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირზე ჯგუფში პირველ ადგილზეა. საწყისი 2 ტურის მატჩები დაუვიწყარი იყო, რომლებშიც ჯერ თბილისში შვეიცარია დავამარცხეთ, მერე კი ბელგრადში სერბეთს მოვუგეთ. თბილისში ოვერტაიმში ვიმარჯვეთ, მაგრამ განსაკუთრებულად ის ემოციები მახსენდება, რომლებიც სერბეთის ნაკრების დამარცხებით ბელგრადში განვიცადეთ. ეს იყო დაუვიწყარი შეგრძნება.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გუნდის თითოეულ მოთამაშესა და მწვრთნელს, რა თქმა უნდა, ექიმებს, მენეჯერებსა და ნაკრების ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს. წარმატების მისაღწევად ყველამ მაქსიმუმი გაიღო. სხვანაირად ასეთ ძლიერ ნაკრებს ვერ დავამარცხებდით. ორმაგად მიხარია, რომ სათქმელი ახალგაზრდობამაც თქვა, რომლის ძალაც აუცილებლად დაგვჭირდება მომავალ ევრობასკეტზე და რომელმაც ადრე თუ გვიან ნაკრების ამჟამინდელი ბირთვი უნდა ჩაანაცვლოს.

ევრობასკეტიც გადაიდო

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – 2021 წელს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში 1 წლით გადაიდო.

ფიბა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლის სხდომაც ვიდეოკონფერენციის საშუალებით გაიმართა, ახალი კალენდარი შეიმუშავა. კალენდარში ცვლილებები მსოფლიოში მძვინვარე პანდემიის გამო შევიდა, რომელმაც უკვე მოახდინა გავლენა ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა მსხვილ სპორტულ ღონისძიებებზე.

ფიბა-ს კალენდარში ცვლილებებია, მაგრამ, აქვე გეტყვით, რომ ეს ყველაფერი ძალას მაშინ შეიძენს, თუ მას მაისში დაგეგმილი ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭო დაამტკიცებს.

– ფიბას აღმასრულებელმა კომიტეტმა ვიდეოკონფერენციის საშუალებით გამართა რიგგარეშე შეხვედრა, რომელიც ეხებოდა მიმდინარე კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენას ფიბას კალენდარზე.

13 მარტს ცენტრალური საბჭოს გასულ სხდომაზე დადასტურდა ფიბას ყველა მიმდინარე საკლუბო შეჯიბრების შეჩერება, ასევე დელეგირებულ იქნა უფლება ფიბას აღმასრულებელ კომიტეტზე, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების თარიღის ცვლილების შემდეგ შეიტანონ ყოველგვარი საჭირო ცვლილება ფიბას კალენდარში, რომელიც ცენტრალური საბჭოს მიერ თავდაპირველად 2015 წელს იყო დამტკიცებული.

ფიბა მიესალმა ტოკიოს ოლიმპიადის თარიღების შეცვლას, რომელიც 2020 წლის 23 ივლისიდან 2021 წლის 8 აგვისტოს გადავიდა და მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) ამ რთულ სიტუაციაში თანამშრომლობისა და დროული გადაწყვეტილების მიღებისთვის.

შესაძლო სცენარების ფრთხილად გაანალიზების შემდეგ რეგიონული ოფისებისა და საშეჯიბრებო კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ფიბას აღმასრულებელმა კომიტეტმა კალენდარში შემდეგი ცვლილებები შეიტანა:

ფიბას ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირები გაიმართება 2021 წლის 22 ივნისსა და 4 ივლისს შორის პერიოდში (ზუსტი თარიღები სოკის დამტკიცების მოლოდინშია).

ფიბას ევრობასკეტ 2021-ისა და ფიბას ამერიქაფი 2021-ის განახლებული თარიღებია 2022 წლის 1-18 სექტემბრის პერიოდი.

იმისათვის, რომ შეიზღუდოს მოთამაშეთა დატვირთვა და მაქსიმალიზირდეს შესაძლებლობები ამ კალენდრის ფარგლებში, ეროვნული ნაკრებები, რომლებიც მონაწილეობენ ფიბა კალათბურთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში, ითამაშებენ 2 მატჩს, რომლებიც თავდაპირველად დაგეგმილი იყო 2022 წლის სექტემბრისთვის, 2022 წლის აგვისტოს ბოლოს, ფიბას ევრობასკეტისა და ფიბას ამერიქაფის მოსამზადებელ ეტაპზე. კონტინენტური ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირებისა და ფიბას 2023 წლის მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატების თარიღები უცვლელი რჩება.

ზირაქა ასეთ დასასრულს არ ელოდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

იქნებოდა. სავარაუდოდ, ვირუსმა ასეთი დასასრულის შესაძლებლობა წამართვა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი ბურჯი კლერმონში 2004 წელს ჩავიდა, ტოპ 14-ში 263 შეხვედრა ჩაატარა და 17 ლელო გაიტანა, ხოლო ევროთასებზე 74 მატჩი გამართა (65 ჩემპიონთა თასზე, 9 ჩელენჯ თასზე) და 1 ლელო დადო. ზირაქა 2010 და 2017 წლებში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, 2007 და 2019 წლებში კი – ჩელენჯ თასის გამარჯვებული.

საქართველოს ნაკრებში 2004-15 წლებში 53 კეპი მოიხვეჭა და მეტოქეთა ლელოში ბურთი 8-ჯერ დაამიწა. 3 მსოფლიო თასზე იასპარეზა და 2010 წელს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.

იტალია იმედიანად არის

დამაიმედებელი ინფორმაციები მოდის იტალიიდან. რამდენიმე გავლენიანმა მედიასაშუალებამ ჩემპიონატის განახლებასთან დაკავშირებით საკმაოდ დეტალური ინფორმაცია გამოაქვეყნა.

მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის გამო იტალიაში სახელისუფლებო ორგანოები საგანგებო მდგომარეობას 3 მაისამდე ახანგრძლივებენ. შედეგად, გუნდებს უკვე 4 მაისს შეეძლებათ სავარჯიშო პროცესის განახლება.

აპენინებზე კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობა კლების დინამიკით გამოირჩევა, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ ოპტიმიზმს იძლევა, რომ თამაშები მართლაც განახლდება.

უფრო მეტიც, კლუბებს სურთ, სპეციალური თხოვნით მიმართონ შესაბამის უწყებებს, რომ ფეხბურთელები 27 აპრილს ფიზიკური და სამედიცინო ტესტებისთვის ბაზებზე შეკრიბონ. მათი თქმით, ასე უფრო შეძლებენ მოთამაშეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაკონტროლებასა და სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნებას.

იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი დაგეგმილ ვადებში დაიწყო, მაშინ ჩემპიონატი 30-31 მაისს განახლდება.

არის გეგმა, რომ ტური ყოველ მესამე დღეს გაიმართოს და, თუ მართლაც ასე მოხდა, მაშინ სერია ა ივლისში დასრულდება.

იტალიის თასი კი, შესაძლოა, მომავალ სეზონამდე გადაიდოს.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგასა და ევროპა ლიგას...

უეფას აქვს კონკრეტული ინიციატივა, რომ გაიმართოს ოთხთა ან რვათა ფინალი და ეს მოხდება ნეიტრალურ ლოკაციაზე, ხოლო ვინც მათ შორის საუკეთესო შედეგს აჩვენებს, შესაბამისად, ტურნირის გამარჯვებულიც გახდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 2. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 5. ქართული ტელეკომპანია; 8. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 10. უბანი ქუთაისში; 12. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 13. სამეჯლისო ცეკვა; 15. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა.

თარაზულად: 1. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში-სანახაობა, წარმოდგენა; 6. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 7. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 10. მოკლე სადღეგრძელო; 11. მდინარე ქციას სახელწოდება ქვემო დინებაში; 13. ბრიტანული არაყი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 18. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რთველი; 2. ბანგი; 3. საკი; 5. ლოკალი; 6. გრემი; 7. აქსიომა; 11. რაუნდი; 13. გეიმერი; 14. შარმი; 15. ფილიპსი; 16. კირთაძე; 17. ხარება; 19. იარდი; 20. ბაშო.

თარაზულად: 1. რუბენსი; 4. ჯოული; 8. კიქსი; 9. კარე; 10. ენგური; 12. ფისკალი; 14. შუნი; 15. ფავორიტი; 16. კორნი; 18. ტვიში; 21. რაცია; 22. ძელშავი; 23. დუბლინი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუტი; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდიში; 5. სახიობა; 8. იორი; 9. კოლაფსი; 10. კუკარაჩა; 12. თუშეთი; 13. სიამი; 15. ოტელო.

თარაზულად: 1. ბაგიათი; 6. მასმედია; 7. ტაიჭი; 10. კრინი; 11. ერატო; 13. სიათა; 14. იმოლა; 16. ელია; 17. აპოთემა; 18. დონორი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1456

ევრო — 3.4425

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9257

100 რუსული რუბლი — 4.2612

ამინდის პროგნოზი 13 აპრილისთვის

რატი ამაღლობელი: „ვერ შევქმენით სახელმწიფო, სახელად საქართველო“

ასე მიაჩნია პოეტ რატი ამაღლობელს:

– ვერა და ვერ შევქმენით სახელმწიფო, სახელად საქართველო, ერთი ფეოდალი დაიმალა, მეორემ კი, უფრო ძველმა, აიღო წინასააღდგომოდ ძალაუფლება ხელში, მთავარია ჩემი ძალაუფლება და ავტორიტეტიო, დანარჩენი წყალსაც წაუღიაო ყველა და ყველაფერი, თანაც ღმერთის სახელით.

უკრაინელმა მომღერლებმა კარანტინში „სულიკო“ იმღერეს

კიევის ნაციონალური აკადემიური ოპერეტის თეატრის მომღერლებმა ა კაპელაში „სულიკო“ იმღერეს.

უკრაინელი ხელოვანები მთელი მსოფლიოს მსგავსად თვითიზოლაციაში არიან. მიკოლა ჯუფერი, ანა კრიში, მაქსიმ ბუსელი, რუსლან კირში და ირინა ბასკო თვითიზოლაციაში ინტერნეტის საშუალებით გაერთიანდნენ და ქართული სიმღერა „სულიკო“ ა კაპელაში შეასრულეს.

ვიდეო ინტერნეტში ელვის სისწრაფით გავრცელდა და ათასობით ადამიანის მოწონებაც დაიმსახურა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ზღაპრების ვიდეოჩვენება დაიწყო

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა ერთგულ მაყურებელს კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა.

– მოუსმინე ზღაპარს“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც ყოველ საღამოს, 8 საათზე, თეატრის კუთვნილი ფეისბუქის გვერდზე დაიწყება.

ბავშვებისთვის ზღაპრების ციკლის ვიდეოჩვენებას მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები წარმოადგენენ და პატარებს ქართულ ხალხურ და ევროპულ ზღაპრებს მოუთხრობენ.

ალექსანდრე ზაზარაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა

უკრაინული „ვოისის“ გამარჯვებულმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა და ათასობით გულშემატკივარს მასზე გადაღებული კლიპიც შესთავაზა.

„შენ არა ხარ მარტო“ – ასეთია ქართულენოვანი სიმღერის სახელწოდება. სიმღერისა და ტექსტის ავტორი ცირა ბზიშვილია:

– პრემიერა შედგა! გააზიარე სიყვარული, ნუ გაავრცელებ ვირუსს! გამოვიდა კლიპი, რომელსაც ყველა მოუთმენლად ველოდით. უპირველეს ყოვლისა, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო უკლებლივ ყველას, ვინც კლიპში მიიღო მონაწილეობა და გვერდში დამიდგა. მიყვარხართ ყველა.

„ახალი შაბათის შოუს“ გადაღებები შეჩერდა

„მთავარი არხის“ იუმორისტული გადაცემის „ახალი შაბათის შოუს“ გადაღებები დროებით შეჩერდა.

იუმორისტული სკეტჩები ეთერში აღარ გავა. გადაწყვეტილება არხის ხელმძღვანელობამ ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის გამო მიიღო და ჩაწერები გააჩერა.

„ახალი შაბათის შოუს“ ყველა მსახიობი თვითიზოლაციაში იმყოფება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

13 აპრილისთვის

ვერძი – ვარსკვლავების კეთილგანწყობა გიბრუნდებათ. მძიმე პერიოდი დამთავრდა. გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. **კურო** – მიუხედავად დაძაბულობისა, სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. **ტყუპები** – სწორი კვება და ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. **კირჩხიბი** – ნებისმიერი უსიამოვნება ემოციის გარეშე მიიღეთ. საკმაოდ მშვიდი დღეა. **ლომი** – ნერვულ გადაღლილობას სუფთა ჰაერზე სეირნობა და მეგობრებთან ურთიერთობა მოგიხსნით. ნოსტალგია შემოგიტევთ. **ქალწული** – როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენებს ელოდეთ. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **სასწორი** – ეცადეთ, თქვენი გეგმები ახალგაცნობილ ადამიანებს გაანდოთ. სასარგებლო რჩევებს მიიღებთ. **ღრიანკალი** – განმარტოება, მშვიდ გარემოში ფიქრი სასიკეთოდ წაგადგებათ. საღამო განსაკუთრებით კეთილისმყოფელი იქნება. **მშვილდოსანი** – პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზეა დამოკიდებული. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. **თხის რქა** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ რეალობას ადეკვატურად შეაფასებთ. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **მერწყული** – სულიერ კმაყოფილებას გრძნობთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **თევზები** – მრავალ თქვენგანს დიდი ხნის ოცნება უსრულდება. შესაფერისი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბავშვი მამას ეკითხება:
– მამიკო, დედიკო რომ დაინახე, მაშინვე გადაირიე თუ მერე, როდესაც დაქორწინდით?

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– მაგიდის თამაშები გიყვარს?
– კი, მიყვარს.
– მაშინ მიდი, მაგიდაზე დაწექი...

●●●

ავადმყოფი ექიმს ეკითხება:
– ექიმო, ეს წამალი მარტო დღეს დავლიო?
– თუ გაიღვიძებ, ხვალეც დალიე!..

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– დღეს ტელეფონი სამჯერ გავწმინდე სპირტით...
– მერე?
– მერე, მისაყოლებელი მომთხოვა...

●●●

სტუდენტი ბიჭი გოგონების საერთო საცხოვრებელში მივიდა. ადმინისტრატორი კი ეკითხება:
– ვისთან მიდიხარ?
– და თქვენ ვის მირჩევთ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მესიმ საზოგადოება გააამხნევა

ლიონელ მესი იმ ფეხბურთელების რიცხვს შეუერთდა, რომლებმაც კორონავირუსზე საკუთარი აზრი გამოთქვეს და მან საზოგადოება გაამხნევა.

მესის აზრით, ეს ვირუსი აუცილებლად გაივლის და ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება:

– ყველა ვცდილობთ, სიმშვიდე შევინარჩუნოთ და ეს აუცილებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვირუსი ადვილად მოგვერევა. ყველამ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში და ფეხბურთელები გამონაკლისები არ ვართ.

ქართული ესტრადა კოვიდ 19-ის წინააღმდეგ

ამ ბოლო დროს საქართველოში ძალიან სტრესული მდგომარეობაა. ხალხი დაძაბულია, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ყურადღებით უსმენს ექიმებს და ითვალისწინებს მათ რჩევებს. თითქმის ყველა სახლშია ჩაკეტილი და აღარ იცის, რით გაერთოს.

რამდენიმე დღის წინ ამ უსაქმურობის ჟამით მოწყენილმა მუსიკალურმა ფრთამ გადაწყვიტა, დაეწერა სიმღერა, რომელიც შეძლებდა საზოგადოების განმუხტვას.

9 აპრილს ინტერნეტი ქართული ესტრადის ახალმა კლიპმა ააფეთქა.

ამ კლიპით ქართველმა მომღერლებმა აჩვენეს, რომ ჩვენ, ექიმების დახმარებით, შეგვწევს ძალა, შევაჩეროთ ეს ვერაგი ვირუსი, რომელმაც დედამიწა დააპაუზა. ვიდეოში ნაჩვენებია საეკლესიო-სამედიცინო კადრები, რომელთა პარალელურად სხვადასხვა მომღერლები მუსიკალურ თემას ასრულებენ.

სოციალურ ქსელებში კლიპს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. საზოგადოების რაღაც ნაწილს ვიდეორგოლი მოეწონა, მეორე ნაწილმა არ დაიშურა კრიტიკის ქარცეცხლი. ვიდეოში 20 მომღერალი მონაწილეობს, რომელთა ნაწილი ქართველი საზოგადოებისთვის დიდად არ არის ცნობილი. ამ მიზეზის გამოც მუსიკალურ კლიპს არ ასცდა კრიტიკა.

ქართველებს ძალიან კარგად გამოგვდის სხვისი ლანძღვა. მართალია, სიმღერა და კლიპი არ იყო უმაღლესი სტანდარტის, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი მშვენივრად გაერთო.

ხალხი დაიღალა გაუთავებელი უარყოფითი ემოციებითა და ნეგატიური ახალი ამბებით. მართალია, გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა იზრდება, მაგრამ დაინფიცირებულთა რიცხვიც იმატებს ჩვენს ქვეყანაში, რის გამოც თავს მშვიდად ვერ ვგრძნობთ. მომღერლებმა ვიდეო გადაიღეს ექსტრემალურ პირობებში, დისტანციურად. კლიპში ჩანდა ქართული ესტრადის წარმომადგენლების ოთახები. ავტორებს სურდათ, რომ ვიდეო ორიგინალური ყოფილიყო და ეს ნამდვილად გამოუვიდათ, მაგრამ გადაღებების ხარისხმა ვერ დააკმაყოფილა საზოგადოების მუსიკალური გემოვნება.

რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ და ვაკრიტიკოთ, ფაქტია, რომ სიმღერამ stop covid 19 (დარჩი სახლში) თავისი კვალი დატოვა ქართულ შოუბიზნესში, ხოლო მათ, ვისაც კლიპი არ მოეწონა, შეუძლიათ, თავად გააკეთონ სხვა ნამუშევარი და გვაჩვენონ მაღალი კლასი, თუკი ის გააჩნიათ.

კოტიკო გოგინაშვილი

პოლ პოგბა: „ტრავმამ უფრო გამაძლიერა“

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგმა ნახევარმცველმა პოლ პოგბამ განაცხადა, რომ ტრავმებმა ის მორალურად უფრო ძლიერი გახადა და, როდესაც მოედანზე დაბრუნდება, ამას ყველა დაინახავს:

– რთულია, როდესაც შენი თანაგუნდელები მოედანზე არიან, შენ კიდევ ამ ყველაფერს მხოლოდ ტრიბუნიდან უყურებ. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ტრავმა მთავარი მტერია და ამას არავის ვუსურვებ. ამ ყველაფერში კარგი ის არის, რომ მორალურად უფრო ძლიერი ხდები და ცდილობ, მოედანზე მოტივირებული დაბრუნდე.

პოგბას დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია.

რეალი ვარჯიშების განახლებას აპირებს

მადრიდის რეალი მზად არის, ვარჯიშები განაახლოს, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

რეალი ერთ კვირაში შეიკრიბება და ვარჯიშს განაახლებს, თუმცა მას კარანტინით დაწესებული წესების დაცვა მოუწევს. ჯერჯერობით ესპანეთში კორონავირუსი ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა ბოლო დღეებში ინფიცირებულთა რაოდენობამ შედარებით იკლო.

მადრიდში ყველაზე მეტი დაინფიცირებულია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ზირაქა ასეთ დასასრულს არ ელოდა

2019-20 წლების სეზონის დაწყებისთანავე ქართული რაგბისა და კლერმონის ლეგენდა დავით ზირაქაშვილმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებდა. წესით, ეს ივნისში უნდა მომხდარიყო, მაგრამ კორონავირუსის პანდემიამ, რომლის გამოც ყველა სარაგბო ტურნირი, მათ შორის ტოპ 14 გაურკვეველი ვადით შეწყდა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

საფრანგეთში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, დიდი შანსია, რომ წლევანდელი სეზონი აღარ გაგრძელდეს. თუ ასე მოხდა, გამოდის, რომ 36 წლის მარჯვენა ბურჯმა კარიერის ბოლო მატჩი უკვე ჩაატარა და ეს 29 თებერვალს აჟენთან მოგებული თამაში იყო.

კლერმონის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ზირაქაშვილის ნაუბარი, სადაც აღნიშნავს, რომ კარიერის ბევრნაირი დასასრული წარმოედგინა, მაგრამ არა – ასეთი.

დავით ზირაქაშვილი:

– როდესაც სპორტსმენი ხარ, კარიერის ბევრნაირ დასასრულს წარმოიდგენ, მათ შორის, ცუდს, ტრავმას, მაგრამ არა – ასეთს. მაშინაც კი, როცა ტრავმირებული ხარ, შეგიძლია, მონაწილეობდე გუნდის ცხოვრებაში. 2-3 თვის წინ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ 2020 წლის ივნისი ჩემი კარიერის ბოლო თვე

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მდინარე კიევში; 2. ქართული ბანკი; 3. ზუთხის ან ორაგულის შებოლილი რბილი ნაჭრები; 5. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 6. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 7. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 11. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 13. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 14. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 15. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო; 16. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 17. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 19. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 20. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი.

თარაზულად: 1. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 4. კანიონი ხონის რაიონში; 8. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 9. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 10. ტროპიკებში გავრცელებული დიდი მახრჩობელა გველი; 12. ცხარე გემოს მქონე ფრანგული ცხვრის ყველი; 14. შტატი ბრაზილიაში; 15. ქალაქი ესპანეთში, სადაც ტარდება კორიდის სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; 16. სამკურნალო პროცედურების დასრულებული ციკლი; 18. ალ.ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 21. შოკოლადის ხე; 22. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 23. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა